საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბრძოლის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 17 მარტი. 2017 წ. №57 (8194), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ამირან კილურაძე: რას არ იკადრებენ... კადრები! ③

«შემოძახილი» ბათუმიდან

შესაძლოა, ღვინომასალების ექსპორტი აიკრძალოს

ზაზა პაპუაშვილი: სააკაშვილის ზეობისას ეს ადამიანები დახოცილები იქნებოდნენ! ⑤



სავალუტო ფონდი 285-მილიონიან სამწლიან პროგრამას იწყებს!

მამუკა არეშიძე: სუს-ისა და პოლიციის შეფებს უფლებამოსილება ⑦ გამოძიებამდე უნდა შეუჩერდეთ

როგორი შედეგი გამოიღო დეველოპერებისთვის სამშენებლო ამნისტიამ? ⑥



პაატა კოღუაშვილი: როგორ იცავენ დემოკრატიული ქვეყნები მიწას გაუცხოებისგან?! ④

აფხაზეთში უბიხურის სწავლება დაიწყო ⑧

ენის გასოცხლების მცდელობა თუ პოლიტიკური გეგმა?

რას არ გაიგებ!

ესპანეთში „ქართული მაფიის“ 48 ქურდბაცაცა ჩააყუდეს

ესპანეთის ეროვნულმა პოლიციამ საქართველოს 48 მოქალაქე დააკავა. მასშტაბური სპეცოპარაცია ერთდროულად მადრიდში, ხეტაფეში, ლეგანესში და ბარსელონაში ჩატარდა და ადგილობრივი მედიის ცნობით, დაკავებულები „ქართული მაფიის“ წევრები არიან. ესპანეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში განაცხადეს, რომ დაკავებულებს ბრალი ედებათ ბინებისა და სახლების გატეხვასა და გაძარცვაში ქვეყნის მასშტაბით.

ოპერაციის ფარგლებში სამართალდამცველებმა საიუველირო ნაკეთობები, ელექტრონული მოწყობილობები, 13.000 ევრო და ბინების გატეხვის ინსტრუმენტები ამოიღეს.

თურქეთ-ჰოლანდიის დიპლომატიურ კრიზისს ძროხები შეეწირნენ

ჰოლანდიური ძროხები თურქეთიდან გააძევეს. თურქეთ-ჰოლანდიის დიპლომატიურ კრიზისს მსხვილფეხა საქონელი შეეწირა.

თურქეთის მესაქონლეობის ასოციაციაში განმარტეს, რომ ჰოლანდიური ძროხები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ქვეყნის ერთ-ერთ ფერმაში მიიყვანეს, პერსონა ნონ გრატად გამოცხადდნენ.

ეჰ, დიპლომატიის უცოდინარო ძროხებო, თუ ჰოლანდია თქვენ საკუთარ ტერიტორიაზე არ შეგიშვებთ, მაშინ ვაი რომ... სასაკლაოზე გადაგიყვანენ!

ბაქოში ალიევმა და მარგველაშვილმა „სამხრეთ გაზის დერეფნის“ პროექტზეც იმსჯელეს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აზერბაიჯანის დედაქალაქში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი თანამშრომლობის საკითხების გაღრმავებაზე ისაუბრეს. შეხვედრისას აღინიშნა, რომ წელს საქართველო-აზერბაიჯანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან 25 წელი შესრულდება. მხარეებმა ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ორმხრივი პროექტებიც განიხილეს.

გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ღრმად ვართ დაინტერესებული ენერგეტიკის სფეროში ურთიერთობის შემდგომი განვითარებით. საქართველო წარმოადგენს, როგორც აზერბაიჯანული ენერგორესურსების მომხმარებელს, ასევე საიმედო გამტარს. საუბარი შეეხო „სამხრეთ გაზის დერეფნის“ პროექტის განხორციელებას, რომელიც, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა საკვანძო როლს ასრულებს უსაფრთხოების განმტკიცების, საქმეში, როგორც რეგიონში, ისე მთელ ევროპაში.

ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ყურადღება ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზეც გაამახვილეს.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების პოტენციალი ჯერ კიდევ სრულად არ არის ათვისებული და არსებობს ტვირთბრუნვის მრავალმხრივად გაზრდის შესაძლებლობა. საუბარი შეეხო ტურიზმისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის წარმატებულ და ნაყოფიერ განვითარებასაც.

ამერიკის საელჩო მხარს გვიჭერს

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ოკუპირებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„ამერიკის შეერთებული შტატები სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტეროტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატები არ სცნობს არჩევნების შედეგებს, რომელიც არალეგიტიმურად ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე; და გმობს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის არაკონტროლირებადი რეგიონის სამხედრო ძალების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში შესვლის თაობაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მკაფიო და თანმიმდევრულია — ორივე ეს რეგიონი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ფორუმი მიმართული საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში შექმნილი ვითარების გადაჭრისკენ; და გამომდინარე აქედან, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მონაწილეს, თავი აარიდონ ისეთ ქმედებებს, რომელიც ძირს უთხრის ამ მოლაპარაკებებს“ — ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

2023 წელს ქვეყნის პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევს



2023 წელს საქართველოს **პრეზიდენტს პირდაპირი წესით საქართველოს მოქალაქეები არ აირჩევენ და ქვეყნის მთავარსარდალს საკანონმდებლო უწყება აირჩევს.** ქართულ ოცნებაში განმარტავენ, რომ გადაწყვეტილება, 2018 წელს პრეზიდენტის არჩევნების პირდაპირი წესით ჩატარების შესახებ, უკვე მიღებულია.

„გარკვეული სპეკულაციების თავიდან ასარიდებლად კარგი იქნებოდა, 2018-ში ჩატარებულიყო პირდაპირ და შემდეგ გარდამავალ დებულებებში ჩაგვედო, რომ ჩატარებულიყო არაპირდაპირი წესით არჩევნები. ვფიქრობთ, რომ ეს აბსოლუტურ თანხვედრაშია ქვეყნის საპარლამენტო მოწყობის პრინციპებთან“, — განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

პრეზიდენტის ასაკობრივი ცენზი, შესაძლოა, 45 წლამდე გაიზარდოს

„პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით მე შევთავაზე სამუშაო ჯგუფს, **რომ პრეზიდენტის ასაკი ყოფილიყო არანაკლებ 45 წლისა; მეორე, რომ პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პარტიის წევრი. ეს წინადადებები იქნა გაზიარებული“,** — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

მისივე ინიციატივით, პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს არა პარლამენტის მიერ, არამედ ე.წ. ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ, რომელიც შედგება პარლამენტის 150 წევრისაგან და 150 დელეგატისაგან, რომლებსაც აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოები და საკრებულოთა გაერთიანებები აირჩევენ იმ პროპორციით, როგორი პროპორციითაც ამ საკრებულოებში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები იქნებიან წარმოდგენილნი. ხმალაძის თქმით, სამუშაო ჯგუფის არაერთმა წევრმა ეს წინადადება გაიზიარა.

პრეზიდენტის საარჩევნო ცენზი მოქმედი მოდელით 35 წელია.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფების გაერთიანებული სხდომა

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის **მეორე და მესამე სამუშაო ჯგუფების მორიგი გაერთიანებული სხდომა გაიმართა.**

მეორე სამუშაო ჯგუფის კომპეტენციაში საქართველოს პარლამენტის, ფინანსებისა და კონტროლის და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხები შედის, ხოლო მესამე სამუშაო ჯგუფი საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებულ კონსტიტუციის შესაბამის თავებზე მუშაობს.

„როგორც მოგეხსენებათ, დაახლოებით ორი კვირის წინათ, ჩვენ დავიწყეთ კონსტიტუციის შესაბამისი თავების განხილვა. პრაქტიკულად, გავიარეთ პარლამენტის თავი, სახელმწიფო კონტროლი და ამ ნაწილში დარჩა კონსტიტუციის გადასინჯვის თავის განხილვა. განსახილველი გვაქვს, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის მომწესრიგებელი თავი, საქართველოს მთავრობისა და თავდაცვის საკითხები“, — განაცხადა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მიზნით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია 15 დეკემბერს შეიქმნა, რომლის ფარგლებში ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი მუშაობს.

ირმა ინაშვილი დეპუტატებს მოუწოდებს, ხელფასის ნაწილი საქველმოქმედოდ გაიღონ

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ დეპუტატებს მოუწოდებენ, ხელფასის ნაწილი საქველმოქმედოდ გამოყონ. ირმა ინაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტები საქველმოქმედო ფონდს ქმნიან, სადაც შემოწირული თანხები გაჭირვებული მოსახლეობის დახმარებას მოხმარდება.

„მე ობიექტივის დირექტორი ვიყავი, ჟურნალისტებმა გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა საქველმოქმედო მოძრაობა, რომლითაც უამრავ გაჭირვებულს რეალურად დავეხმარეთ“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა. მისი თქმით, ობიექტივის ჟურნალისტები ისევ აპირებენ საქველმოქმედო ფონდის „ობიექტივის“ დაფუძნებას, რომელიც სოციალურად დაუცველ ადამიანებს გაუწევს დახმარებას. ინაშვილის ინფორმაციით, ფონდში ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ დეპუტატები ყოველთვიურად ხელფასიდან გარკვეული ოდენობის თანხას გადარიცხავენ.

ივნისიდან საყოველთაო დაზღვევა დიფერენცირებული იქნება

საყოველთაო დაზღვევა **იქნება დიფერენცირებული და ის ექვს სხვადასხვა კატეგორიაზე გადანაწილდება,** — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე ინფორმაციით პირველი კატეგორია მიზნობრივი ჯგუფია, სადაც შედიან პენსიონერები, 0-იდან 5 წლამდე ასაკის ბავშვები, სტუდენტები, შშმ პირები, პედაგოგები და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები. დავით სერგეენკოს განცხადებით, ამ კატეგორიას ექნება ულიმიტო დაზღვევა, ისეთი როგორიც აქამდე ჰქონდა.

ერთადერთი ცვლილება მინისტრის თქმით არის მედიკამენტების კომპონენტი. სახელმწიფო შემოიღებს ოთხი ქრონიკული დაავადების მიხედვით საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალს, რომელზეც წვდომის საშუალება მიზნობრივი ჯგუფის ნაწილს ექნება. აღნიშნული სიახლე ძალაში მიმდინარე წლის ივნისიდან შევა.

როგორც დავით სერგეენკომ განმარტა, მეორე ჯგუფი ეს არის მაღალი და საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანები. მინისტრის თქმით, მოქალაქეს, რომელსაც აქვს 40 000 ლარზე მეტი შემოსავალი, მათ არ ექნებათ უფლება, ისარგებლონ სახელმწიფო დაზღვევით. ხოლო საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქემ უნდა გააკეთოს არჩევანი, თუ რომელი დაზღვევით ისარგებლებს — კერძო თუ სახელმწიფო დაზღვევით, რადგან, სერგეენკოს თქმით, ერთდროულად ორივეთი სარგებლობის უფლება არ ექნება. რაც შეეხება დაბალი და არარეგულირებული შემოსავლის მქონე მოქალაქეებსა და მოზარდებს — დავით სერგეენკოს განცხადებით, მათ აქვთ არჩევანის უფლება. ასევე, მათ სახელმწიფო სთავაზობს, რომ გარდამავალ პერიოდში ორივე პაკეტით ერთდროულად ისარგებლონ.

რაც შეეხება სერვისებს, რომლითაც სარგებლობა ყველა კატეგორიას შეეძლება, ეს იქნება მშობიარობა, ხოლო ონკოლოგიის მართვა, გარდა იმ პირებისა, ვისაც შემოსავალი 40 000 ლარზე მეტი აქვს, ყველასთვის უფასო იქნება. საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალური შემოსავლის მიხედვით. წარმოდგენილი ცვლილებები ძალაში მთავრობის დამტკიცების შემდეგ შევა.

მიზნობრივ ჯგუფებს მედიკამენტებს სახელმწიფო დაუფინანსებს

მიზნობრივ ჯგუფებს მედიკამენტებს სახელმწიფო დაუფინანსებს, — დავით სერგეენკოს განცხადებით, სტაციონარში მკურნალობისას მედიკამენტი პაციენტებისთვის ფინანსდებოდა, თუმცა წამლების ის ნაწილი, რაც ქრონიკული დაავადებებისას უნდა მიიღონ მოქალაქეებმა, საავადმყოფოს გარეთ პრობლემური იყო.

მიზნობრივ ჯგუფებში შედიან: 0-5 წლამდე ბავშვები, სტუდენტები, პენსიონერები, შშმ პირები, პედაგოგები, სოციალურად დაუცველები. მათი რაოდენობა 1 700 000-მდეა. ცვლილებების თანახმად, მიზნობრივ ჯგუფებს ემატებათ წვდომა ამბულატორიულ მედიკამენტებთან, ენიჭებათ პრივილეგია, ერთდროულად ისარგებლონ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებითა და კერძო სადაზღვევო (შემავსებელი) პაკეტით. ამასთან, მიზნობრივ ჯგუფებს უნარჩუნდებათ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების მოცულობა უცვლელად.

საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა (ზურაბ გორგილაძე)

რას არ იკადრებენ... კადრები!..

ამ სათაურით ახალს არაფერს ვამბობ. ცნობილია, რომ კადრების შერჩევა და დანიშვნა რთული საქმეა. თუნდაც იმიტომ, რომ ამ სფეროში ბევრი ინტერესი იკვეთება. ამიტომაც გამუდმებით აკრიტიკებენ ან ახალდანიშნულ კადრს, ან მათ დამნიშვნელებს. ნეპოტიზმი რომ საქართველოში ჰყვავის, ამის თაობაზე არაერთხელ თქმულა და ეს აზრი აჭარაშიც მუსირებს. აჭარაში იმაზეც დაუფარავად საუბრობენ, რომ ბათუმის 2004 წლის რევოლუციის შემდგომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამუშაო ადგილების მათი ხალხისთვის აქტიური ათვისება დაიწყო. რაღა თქმა უნდა, ამან ადგილობრივი, უმუშევრად დარჩენილი სპეციალისტებისა და საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, რაც თანდათან გაღრმავდა.

როცა კადრების დანიშვნაზე საუბრობენ, ავტონომიურ რესპუბლიკაში უამრავ მიუღებელ ფაქტს დაგისახელებენ. ბოლო დროს გახმაურებული ფაქტებია საპატრულო პოლიციის ახალი უფროსი, თბილისიდან მოწვეული აჭარის ტელევიზიის ახალგაზრდა ქალბატონი დირექტორი. ახლახან გასაჯაროვდა ფაქტი, ბათუმის მერის მიერ მერიაში უკონკურსოდ დანიშნული ქალბატონის შესახებ. ეს ქალბატონი თურმე ფოთის მერიაში მუშაობდა. როგორც ინტერნეტში წერენ, მას ადრე სამართალდამცავებთანაც პრობლემები ჰქონია.

საქართველოსა და აჭარის კანონმდებლებმა, ალბათ, იმაზეც უნდა იფიქრონ, რომ ცვლილება შეიტანონ ქართულ კონსტიტუციურ კანონმდებლობაში. მხედველობაში მაქვს ის, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელები აჭარაში ისე ინიშნებიან, რომ ამას აჭარის ხელისუფლებას საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები არც კი უთანხმებენ. დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ქალაქის მერს აჭარაში არსებული სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელების ოფიციალურად თავისთან გამოძახების უფლებაც არა აქვთ. სამართალდამცავები მათ წინაშე ანგარიშვალდებული არ არიან. ეს კი ხელს უშლის კადრების დანიშვნის, თუ ერთიანი საქმიანობის კოორდინაციას, რაც კარგად გამოჩნდა 11 მარტის მოვლენების დროს.

სწორედ ამაზე საუბრობდნენ აქციის დროს მომიტინგეები, თუ მათი ორგანიზატორი პოლიტიკოსები. რომ გავიძახით ევროპული სახელმწიფო უნდა გავხდეთო, ევროპისა თუ ამერიკისთვის დამახასიათებელი მუნიციპალური პოლიცია, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ექვემდებარება. რატომ არ გვყავს? იქნებ იმიტომ, რომ ვიღაცას უნდა ყველაფერი ცენტრის ხელში იყოს. ხელისუფლების დელეგირებაზე რომ ვსაუბრობთ, ამას საქმე თუ არ მოჰყვება, არაა გამორიცხული, მსგავსი ექსცესების გამეორება არა ბათუმში, არამედ სხვაგანაც.

ჩემს ამ წერილებში, რომლებიც ახლა „საქართველოს რესპუბლიკაში“ ქვეყნდება, არ ვაპირებ პუბლიკაციებში ბალანსის დაცვის თეორიით ვიხელმძღვანელო. არც ხელისუფლების წარმომადგენლების და არც ოპოზიციის წარმომადგენლების მოსაზრებას არ გთავაზობთ. უბრალოდ მოგახსენებთ იმ განწყობის თაობაზე, რაც საზოგადოებაში მუსირებს. გაუწყებთ იმ პრობლემებზე, რამაც 11-12 მარტის მოვლენები გამოიწვია და თქვენთან ერთად ვეძებ გამოსავალს. ამ საქმეში, ჩემო მკითხველო, ვფიქრობ, დაგვეხმარება მიუმხრობელი ესპერტი, საქართველოს პარლამენტის მეორე მოწვევის დეპუტატი და ფრაქციის თავმჯდომარე, საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე, „საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევების დეპუტატთა ბათუმის ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **თამაზ ცინცაძე**. ბატონი თამაზი სხვადასხვა დროს იყო ხელვაჩაურის რაიონის გამგებელი, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის მინისტრთა საბჭოს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

სიტყვას გადავცემ თამაზ ცინცაძეს.

— მივესალმები „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს. თქვენთან საუბარი მინდა დავიწყო იმით, რომ უცხოეთს, ვინც „ჩვენი ქვეყნის მართვით“ და ზეგავლენითაა დაინტერესებული, ურჩევნია

თამაზ ცინცაძე

ახალგაზრდობასთან იქონიოს კავშირი, რადგან გლობალიზაციის საკითხებზე საუბარი და ამ პროგრამის უპირატესობაში 50 წელს მიღწეული ადამიანების დარწმუნება უჭირთ, ამიტომ ისინი ხელს უწყობენ პროცესს, რომ ხელისუფლება ახალგაზრდა იყოს. ისინი სათავისოდ სხვაგვარად განსჯიან, მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება სპორტული მოედანი არ გახლავს, სადაც ჯანი, ენერგია, სისწრაფე და სხვა კომპონენტები წყვეტს წარმატებას. კარგად იციან, ცხოვრება სხვა კანონზომიერებას მოითხოვს. ცოდნა, სიდინჯე, აუჩქარებლობა, შენი ქვეყნის ინტერესები, ტრადიციების გათვალისწინებაა საჭირო. ამას კი ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება, რაც, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ასაკთან და გამოცდილებასთანაა დაკავშირებული.

ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის“ წევრები ყოველ ოთხშაბათს ბათუმში „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ ვიკრიბებით, სადაც უხუცესი ადამიანები განვიხილავთ და შეფასებას ვაძლევთ იმ პროცესებს, რომელიც ქვეყანაში საერთოა და კერძოდ, ჩვენს მხარეში მიმდინარეობს.

მორიგი შეხვედრა 10 მარტს შედგა, სადაც ჩვენი კოლეგები „საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევების დეპუტატთა ბათუმის ცენტრის“ წევრები იყვნენ შეკრებილი. წინასწარ შეთანხმებით მოწვეული იყო აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტი და ოპერატორი, რათა თავად მოესმინათ და დაეფიქსირებინათ ის პოზიცია, რაც აჭარაში მიმდინარე არა მარტო პოლიტიკურ პროცესს, არამედ იმ გაუგებრობებს შეეხებოდა, რომლის მომსწრე ვხდებით. სამწუხაროდ, ჩვენი თხოვნა ვერ გაიგო ტელევიზიამ, ან საჭიროდ არ ჩათვალა იმ პრობლემების საჯაროდ გამოტანა, რომელზეც ჩვენ, ვეტერანები ვმსჯელობდით. არადა, ვსაუბრობდით იმაზე, რაც აჭარაში სიტუაციის დაძაბვას უწყობს ხელს. აშკარაა, **ადგილობრივი ხელისუფლება დაშორდა ხალხს. საზოგადოებასა და მთავრობას, უმაღლეს საბჭოსა და ქალაქის მერიას არა აქვს სასურველი კონტაქტები ამომრჩევლებთან.**

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, იმ საკითხებზე გვემსჯელა საჯაროდ, რამაც მეორე დღეს ბათუმში ვანდალური აქტი გამოიწვია. სამწუხაროდ, აჭარის ტელევიზიამ ამ თემებზე საუბარი ნახევარწუთიანი სიუჟეტით დაასრულა. ეგრეთ წოდებულმა ხალხის ტელევიზიამ, ანუ აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, მტკივნეულ საკითხებზე სასაუბროდ ჩვენ დრო არ დაგვითმო, მაშინ, როცა ხშირად ეკრანზე არაფრის მომცემი მდარე ხარისხის გადაცემები გადის. აჭარის პრობლემებზე სასაუბროდ რომ ვერ განვაწყეთ ტელევიზია, არაა გასაკვირი, მისი ახალი დირექტორი, 30 წლის თბილისელი ქალბატონია, იგი როგორც ჩანს, ადგილობრივ პრობლემებს არ იცნობს.

ჩვენი შეხვედრის ერთ-ერთი თემა შეეხებოდა აჭარაში ჩაის დარგის რეაბილიტაციის პროცესისადმი აშკარად გულგრილი დამოკიდებულების ფაქტს. ითქვა იმაზეც, რომ ამ ღონისძიების უკან საქმის ცოდნა და მონდომება არ ჩანს, ისიც ითქვა, რომ ამ საქმეში ჩართული არ არიან ის ადამიანები, რომლებმაც თავისი შეგნებული ცხოვრება სწორედ ჩაის და საერთოდ სუბტროპიკული კულტურების განვითარებას შეალიეს. შეხვედრაზე ერთი საინტერესო ფაქტი გაჟღერდა. 2010 წელს აზერბაიჯანში მიიწვიეს დარგის გამორჩეული მეცნიერი და პრაქტიკოსი, ბათუმელი პროფესორი ბატონი ტარიელ მამულაიშვილი. მიზანი, ლენქორანში ჩაის დარგის განვითარება იყო, რაშიც იქაური ხელისუფლება აქტიურადაა ჩართული და როგორც ბატონი ტარიელ მამულაიშვილი აცხადებს, მათ იმ მუშაობით სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. ჩვენთან კი ანალოგიურად ჩაის რეაბილიტაციისათვის წინა წლებში გეგმიურ პროგრამას შედეგი არ მოჰყოლია. როგორც ირკვევა, საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების ჩამონთვალში ამჯერად არც ჩაისა და არც ციტრუსოვანთა კულტურის განვითარება სახელმწიფო პროგრამაში არ ფიგურირებს. ეს უკვე მეტისმეტია და ეს ქმედება დანაშაულის ტოლფასი გახლავთ.

ჩვენს მორიგ შეხვედრაზე სხვა საკითხთან ერთად, საუბარი იყო აჭარაში საკადრო საკითხებში დაშვებულ უხეშ შეცდომებზე. ჩვენი ორგანიზაციის წევრმა, უხუცესმა საზოგადო ექსპერტმა აკაკი ბარამიძემ ამ თემის ზეპირი განსჯის შემდეგ, რეაგირებისათვის წერილობითი ინფორმაციაც წარმოადგინა და თათბირზე საჯაროდ დაგმო პრაქტიკა, როცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურში არა მარტო პირველ პირებად არამედ, მეორე ხელმძღვანელ პირად და უფრო დაბალ თანამდებობაზეც კი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან მოწვეული ადამიანები ინიშნებიან, რომლებიც ჩვენს მხარეს კარგად არ იცნობენ. ამ დროს განათლებული, მაღალკვალიფიციური კადრები უმუშევრად არიან და თავს გარიყულად გრძნობენ. არა მარტო გარიყულად, არამედ შეურაცხყოფილადაც. მან თქვა იმაზეც, რომ თუ ე.წ. ადგილობრივი კადრებისადმი უნდობლობას იჩენენ, მაშინ ჩვენს ქალაქში დაბადებული და გაზრდილი, სხვა კუთხის ბევრი ღირსეული ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც თავისი წარმომავლობით აჭარლები არ არიან (თუნდაც აჭარლობა ჩვენი გაგებით მხოლოდ სადაურობას ნიშნავს). ჩვენთან ამ საკითხს სხვაგვარად უყურებენ. მიაჩნიათ, რომ თუ კარგი, ანუ ღირსეული აჭარელი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ღირსეული ქართველი ხარ. ამასთან დაკავშირებით შედგენილი ტექსტიც გადმოგვცა, რომელიც გასაჯაროებისათვის გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტს გადაეცა, მაგრამ გაზეთმა იგი არ დაბეჭდა.

ბათუმში 11-12 მარტს ორგანიზებული აქცია, რომელიც შემდგომ ვანდალიზმში გადაიზარდა უკავშირდება ბათუმში ავტომანქანების გადაადგილებასა და პარკირების წესების დაცვის მოთხოვნების გამკაცრებას.

ბათუმის ურბანული განვითარების საკითხებში ბოლომდე გაუცნობიერებელმა აჭარის საპატულო სამსახურის ახალმა ხელმძღვანელმა ავტომანქანების პარკირების წესების მოთხოვნის სამართლიანი გამკაცრების დროს, არ გაითვალისწინა, გასულ წლებში ბათუმის „ფაქტიური არქიტექტორის“ პრეზიდენტყოფილ მიხეილ სააკაშვილის „შემოქმედებით“ შექმნილი პრობლემები, როცა ბათუმში ველოსიპედების გადასაადგილებლად ქუჩების შევიწროების ხარჯზე, ველოსიპედების სამოძრაოდ საკმაოდ ფართო ველობილიკები შექმნა, რომელმაც ქუჩებში ავტომანქანების არა თუ პარკირების, არამედ ავტოშეჩერების პირობები მაქსიმალურად შეზღუდა.

ბათუმში ავტომანქანების ექსპლუატაციას, მისი გამოყენების პირობების განხილვას, საპატრულო პოლიციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაგრამ ეს ხელოვნურად შექმნილი პირობები, ალბათ, გასათვალისწინებელია, რაც აჭარის საპატრულო პოლიციის ახალ ხელმძღვანელს უჭირს. ამის შეფასება და რეაგირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში შედის, ვინც ისეთი ღონისძიებები უნდა გაატროს, რომელიც მომავალში ბათუმში 2017 წლის 11-12 მარტის მსგავს პროცესებს გამორიცხავს.

ვინც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას არ იცნობს და აჭარის ხელისუფლების შეზღუდულ უფლება-მოვალეობას არ გაცნობია, მისთვის ძნელი გასაგებია აჭარაში მოღვაწე ადმინისტრაციული ორგანოების შინაგან საქმეთა აჭარის სამმართველოს, უშიშროების აჭარის სამსახურისა და თუნდაც პროკურატურის ორგანოების მიერ ზოგჯერ გადაჭარბებული და აჭარის ხელისუფლების გვერდის ავლით გატარებული ღონისძიებანი.

იხ. 7 გვ.

როგორ იცავენ დემოკრატიული ქვეყნები მიწას გაუცხოებისგან?!

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების – კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების – პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს, პირველ რიგში, ეხება მიწას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მიწის ფასი. მოსახლეობის გამრავლებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და, აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც.

სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ისინი თვლიან, რომ მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა.

რა უნდა გავითვალისწინოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან?

ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) კანონით „უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ: უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება. ხოლო თუ უცხოელს ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ.

შვეიცარიაში უცხოელების მიერ მიწის შეძენა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: „უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარიული მიწის „გაუცხოება“.

თურქეთის კანონმდებლობით, უცხოელზე გაყიდული მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემეტებოდეს 2,5 ჰექტარს (გაზრდა გამონაკლის შემთხვევებში მაქსიმუმ 30 ჰექტარამდეა შესაძლებელი).

საინტერესოა, გერმანიის მაგალითი, სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ამასთან, აქ საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. ამასთან, უცხოელს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა გააჩნდეს, რომელსაც დანიის იუსტიციის სამინისტრო გასცემს.

შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75%-ს მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს.

სასარგებლო იქნება არგენტინის მაგალითის გამოყენებაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი ან რამდენიმე ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით.

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა.

მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს.

ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება, იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.

აშშ-ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

საკუთრების უფლების შეზღუდვა საზოგადოების წინაშე პოზიტიური ვალდებულებებით გერმანიის კონსტიტუციის მაგალითზე

იმ ევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, რომლებიც მიწის საკუთრების საკითხს არა ცალკე, არამედ, ზოგადად – საკუთრების უფლების საერთო კონტექსტში აწესრიგებს (მაგ.: ჩეხეთის, უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის და სხვ. კონსტიტუციები), აუცილებლად ხაზს უსვამს საკუთრების, როგორც არა მხოლოდ უფლებრივ, არამედ ამ უფლებასთან იმთავითვე განუყოფლად დაკავშირებულ, საზოგადოების წინაშე ვალდებულებით ხასიათს. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა გერმანიის კონსტიტუცია (მიღებულია 1949 წელს, არსებითი ცვლილებები და დამატებები შეტანილია 1994 წელს), რომლის მე-14 სტატიის I პუნქტი, აღიარებს რა საკუთრების უფლებას და განსაზღვრავს, რომ მისი შინაარსი და ფარგლები კანონით დგინდება, იქვე, მე-2 პუნქტში ხაზგასმით მიუთითებს ამ უფლების საზოგადოების წინაშე ვალდებულებებისგან განუყოფლობას: „საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ სიკეთეს“.

ამგვარი შინაარსის ჩანაწერი, სხვადასხვა ფორმულირებით, დამახასიათებელია თითქმის ყველა „უახლოესი ტალღის“ ევროპული კონსტიტუციისთვის. მსგავსი ჩანაწერი უნდა იყოს მოქმედ საქართველოს კონსტიტუციის 21 მუხლში. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის 116-ე მუხლი ამბობს, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.

მიწა, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი სიკეთე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მაგალითზე

გერმანიის კონსტიტუციაში მიწის და მისი წიაღის გასაჯაროებაზეც არის საუბარი, თუმცა კონსტიტუციის ტექსტში მიწის, როგორც განსაკუთრებული ღირებულების შესახებ, პირდაპირი ჩანაწერი არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37, 82) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე, სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში“.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის სხვა გადაწყვეტილებაში (BVerfGE 21, 73) მოსარჩლის მოსაზრება, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ბრუნვა ისეთივე თავისუფალია, როგორც ეს სხვა „კაპიტალის შემთხვევაშია“, არ გაითვალისწინა იმის გამო, რომ „ის გარემოება, რომ მიწა შეუცვლელია და ამასთან ერთად არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად მინდობილი და დათმობილი იქნეს თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება“.

საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივი ტრადიციებისა და გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ მიწა უნდა აღიაროს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ და ქართველი ხალხის სამკვიდროდ.

უცხოელებზე მიწის გაყიდვის შეზღუდვა ლიტვის კონსტიტუციის მაგალითზე

ზოგიერთი ევროპული კონსტიტუცია პირდაპირ ზღუდავს უცხოელებზე მიწის გასხვისებას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკის, დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს – ლიტვის კონსტიტუციის 47-ე სტატიის ჩანაწერს:

„მიწა, შიდა წყლები. ტყეები, პარკები საკუთრების უფლებით შეიძლება, ეკუთვნოდეთ მხოლოდ ლიტვის მოქალაქეებს და სახელმწიფოს. თვითმმართველობებს, სხვა ეროვნულ სუბიექტებს, აგრეთვე ლიტვაში სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელ უცხოელ სუბიექტებს, ლიტვის რესპუბლიკის მიერ არჩეული ევროპული და ტრანსატლანტური ინტეგრაციის შესაბამისად და კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება, ნება დაერთოთ შეიძინონ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც აუცილებელია უშუალო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის. ასეთი ნაკვეთების საკუთრებაში შეძენის წესი, პირობები და შეზღუდვები განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით. კანონით დადგენილი წესით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძლება გაეჩნდეს უცხო სახელმწიფოს – მისი დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების დასაფუძნებლად. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება მიწის წიაღი, აგრეთვე შიდა წყლები, ტყეები, პარკები, გზები, ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტები. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება აგრეთვე ლიტვის ტერიტორიის თავზე საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და ბალტიის ზღვის ეკონომიკური ზონა“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლიტვის კონსტიტუცია უკიდურესად ზღუდავს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში – საერთოდაც კრძალავს უცხო სუბიექტებზე მიწის გასხვისებას.

ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას კანონმდებლობა ჩათვლით.

პაატა კოლუაშვილი

P.S. ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში.

ამ უკანასკნელთ, შესაძლოა, მიწის ეს ნაკვეთის სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უნდოდეთ – აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედა ფენის მოჭრით დამთავრებული.

საკამათო არც ისაა, რომ უცხოელებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ საქმის წამოწყებისთვის, ვიდრე ადგილობრივებს, რაც კატეგორიულად დაუშვებელია, განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ და მოწყვლად დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა არ არის ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას პრაქტიკულად არცერთი ქვეყანა არ ასხვისებს ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან მიაჩნიათ, რომ უცხოელი ინვესტორები აჩანაგებენ ღარიბ, მცირემიწიან ადგილობრივ ფერმერებს.



ზაზა პაპუაშვილი: სააკაშვილის ზეობისას ეს ადამიანები დახოცილები იქნებოდნენ!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ზაზა პაპუაშვილი** „რეპორტიორთან“ საუბარში ბათუმში განვითარებულ მოვლენებს, „რუსთავი-2“-ისა და ე.წ. ციანიდის საქმეს გამოეხმაურა. პაპუაშვილმა ჩვეული პირდაპირობით თქვა, რომ ბათუმში გამართული აქცია სერიოზული დესტაბილიზაციის მცდელობა იყო და აუცილებლად უნდა მოხდეს ამ საქმის გამოძიება.

— როგორ შეაფასებთ ბათუმში გამართულ აქციას?

— ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, წარმოუდგენელია. ეს არის მცდელობა სახელმწიფოებრივი წყობის არევის, ქაოსის, დესტაბილიზაციისა. ცოტა ხმამაღალი ნათქვამი იქნება, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ვუწოდოთ, მაგრამ ასეთი ქმედებებით, შესაძლოა, ბევრი არც არაფერი დააკლდეს. ეს იყო ვანდალიზმი და ბარბაროსობა.

არ ვიცი, რა უსამართლობა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ გამოვიდეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი და ქალაქის ასეთი დალეწვა მოინდომოს, როდესაც არსებობს სასამართლო, პოლიცია, არასამთავრობოები, სახალხო დამცველი.

შესაძლოა, ხარვეზები არსებობდეს, მაგრამ მნიშვნელოვნად გამოსწორებულია ყველაფერი და ვერაფერი დაიმალება. ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება შენს ქალაქს ასე მოექცე. ველაპარაკე ჩემს ბათუმელ მეგობრებს და ისინი ბათუმის სილამაზით, მისი ისტორიით სუნთქავენ, ამას არ გააკეთებდნენ. ეს უსამშობლო ადამიანების გაკეთებულია.

2007-2008 წლები მახსენდება, როგორი ხალხმრავალი აქციები იყო, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ დაგველეწა ჩვენი თბილისი, ზუგდიდი, გორი, თელავი თუ ბათუმი. იმაზეც კი დაგვცინოდნენ, რომ ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდნილა, ერთი ნაკაწრიც კი არ ყოფილა კედელზე. არავითარი ჩხუბი, ქაოსი, დაპირისპირება... აი, ეს არის განსხვავება, რა ბრძოლა იყო მაშინ და რა იყო ახლა. ჩვენ არც თანამდებობები გვინდოდა და არც რაღაცების მოხვეჭა. ჩვენ ვამბობდით — საქართველო უპირველეს ყოვლისა — და ამას ვასრულებდით. პოლიტიკაში თუ მოდიხარ, გულით უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, ისე დაგწვავს, დაგფერფლავს, ისეთი სიმხურვალე აქვს. ჩვენ პატიოსნად ვეუბნებოდით იმ ხელისუფლებას, რასაც აშავებდნენ. ვამაყობ იმ სიბრძნით, რომელიც მაშინ გამოვიჩინეთ და მადლობა უფალს, რომ მე ამ ბრძოლაში ვიყავი, სული არ გავყიდეთ არცერთმა ჩვენგანმა და არ დავუჩოქეთ ამ ნაძირლებს, რომლებმაც ქვეყანა დაღუპეს. ეს ნაგავი გაგვაქვს ყოველდღე და კიდევ დიდგულზე არიან.

— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ და როგორ განვითარდება მოვლენები?

— ძალიან მკაცრად მოვითხოვ გამოძიებას, არა როგორც მოქალაქე ან დეპუტატი, არამედ, როგორც ადამიანი, რომელსაც თავის ქვეყანასთან რაღაც აკავშირებს. არ უნდა დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ უნდა გაირკვეს, ვინ იდგა ამ ადამიანების ზურგს უკან. მეორე საკითხია, რა მოხდა იქ, რა ინციდენტი იყო, ესეც უნდა გაირკვეს. თუ პოლიციელია დამნაშავე, უნდა დადგინდეს, რა დონის დანაშაული აქვს ჩადენილი. თუ სახელი არ დაერქვა ამ ყველაფერს, მაშინ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის გაუცხოება მოხდება.

— როგორ შეაფასებთ სამართალდამცავების მუშაობას და ხომ არ ჰქონდა ადგილი ძალის გადამეტებას?

— რაც შეეხება პოლიციის მოქმედებას, მინდა, მადლობა გადავუხადო შს მინისტრს გიორგი მღებრიშვილს, რადგან ძალადობის გარეშე განეიტრალდა სიტუაცია. სააკაშვილის პერიოდში ეს ადამიანები დახოცილები იქნებოდნენ და არამარტო ისინი, არამედ მათი ოჯახებიც და სამეგობროც. მათ თქვენ ვერ იპოვიდით, გადაკარგულები იქნებოდნენ. ამის მაგალითები გვაქვს უახლეს ისტორიაში — სად არის სულხან მოლაშვილი, სად არის სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე და სხვა ბიჭები? რის შედეგად გაქრნენ? ამათზე უარესი დაემართებოდათ. ეს არის ის პროფესიონალიზმი, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა“ თვითონაც მწარდება. კარნახობენ კიდეც ხელისუფლებას, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მათ სეირის ყურება უნდათ და სეირის ყურება უნდოდათ მაშინაც. ხელისუფლებასაც უნდა გადაეტეხინა ძალა და მერე იტყოდნენ, მე რატომ მაყვედრებ, შენც ხომ გადაამეტე ძალას, შენც ხომ დახოცე მომიტინგეებიო... არ შეიძლება, ბელურას ესროლო ზარბაზნიდან, ადეკვატური ძალა უნდა გამოიყენო, მაგრამ რეზულტატი უნდა იყოს სიტუაციის განტვირთვა, განეიტრალება და შემდეგ უნდა ჩართო კანონი. თქვენ გახსოვთ, პატარა ინციდენტზეც კი წინა ხელისუფლებას სპეცრაზმი გამოჰყავდა. მოსაკლავად მისდევდნენ ბოლომდე და რაც კი გზაზე შეხვდებოდათ — მანქანები თუ სხვა, ყველაფერს ლეწდნენ. უცხოელები გაგიჟებულები იყვნენ, პირველად ვნახეთ, რომ მომიტინგეები კი არა, ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიციელები აკეთებდნენ ამასო. თუ ხარვეზებზე ვილაპარაკებთ, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ დანაშაული და ბოროტება არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც არ გამოსწორდება, თორემ ხარვეზი გამოსწორებადია.

— ტურისტული სეზონი მოდის, თქვენი აზრით, იმოქმედებს თუ არა ბათუმში განვითარებული მოვლენები ტურისტების რაოდენობაზე?

— ადგილობრივი მოსახლეობა ემზადება და მოლოდინი აქვს, რომ ბევრი სტუმარი ჩამოვა და რას აკეთებს ამ დროს ის ხალხი, ვისაც გუშინდელ აქციასთან კავშირი ჰქონდა? მით უმეტეს, როცა უსაფრთხო ქვეყნების სიაში ვართ. ჩვენი ქვეყანა სტუმართმოყვარეობით არის ცნობილი, ახლა ნელ-ნელა ვსწავლობთ, როგორ გავუმასპინძლდეთ სტუმრებს, მაშინ, როცა მათი რაოდენობა გაზრდილია და ამ დროს რას აკეთებს ეს ხალხი ამისთვის?

— არსებობს ინფორმაცია, რომ ეს აქცია უკავშირდებოდა აჭარლების მისამართით გაკეთებულ განცხადებებს, რომ ისინი არ თათრები არიან და თითქოს მათი დისკრედიტაცია ხდებოდა...

— იმის თქმა ხაზგასმით, რომ შენ გორელი ხარ ან აჭარელი, არაფრით არ შეიძლება, მიუღებელია ჩემთვის. შეიძლება, ადამიანი არ შეესაბამებოდეს ან ვერ გაუძღვეს სამსახურს, გორელობა და ბათუმელობა არაფერ შუაშია. ზოგადად, საქართველო პატარა ქვეყანაა და იმისათვის, რომ კორუფცია აირიდოს სახელმწიფომ, როტაცია ხდება, მაგალითად, გორელი პოლიციელები შეიძლება გადაიყვანონ კახეთის პოლიციაში. თუ ასე ხმამაღლა ვიძახეთ, რომ გამგებელი ტყიბულელია და ჩვენ მას არ დაველაპარაკებით, ასე არ შეიძლება. თუ მან არ იცის თავისი საქმე და არ შეუძლია კომუნიკაციის დამყარება, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ასეც არ შეიძლება.

— უზენაესმა სასამართლომ „რუსთავი-2“-ის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც ტელევიზია ქიბარ ხალვაშს უნდა დაუბრუნდეს, თუმცა, ევროსასამართლომ „რუსთავი-2“-ის მიერ გაგზავნილი საჩივრის საფუძველზე აღსრულება შეაჩერა. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ ან სტრასბურგის სასამართლომ?

— სადაც ჩავდივართ, ყველგან ეტყობა, რომ თავისი ქვეყნით ამაყობენ. ჩვენ რა გვჭირს, არ მესმის. ვინ ვართ და რა გვინდა, ხომ უნდა გვეტყობოდეს?! იყო დრო, როდესაც სამართალზე და სასამართლოზე ლაპარაკი საერთოდ არ შეიძლებოდა, ადამიანებს იტაცებდნენ, საერთოდ აორთქლებდნენ. რომელ ინსტანციაზე უნდა გველაპარაკა? ახლა უკვე ისეთი გამჭვირვალე ხდება პროცესები, ავად თუ კარგად, ნელი ნაბიჯებით, ყოველ შემთხვევაში, სამივე ინსტანცია ამუშავდა. საქმე, რომელიც გადის სამ ინსტანციას, ვინც არ უნდა იყოს, ასე წყალში უნდა ჩაყაროს? ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ჩვენს მეგობარ ქვეყნებს და აუცილებელია მათთან თანამშრომლობა, მაგრამ ქვეყნის ინტერესები პირველ ადგილზე უნდა იყოს. ეჭვებს ბადებს ის, რომ სტრასბურგში, ყველამ კარგად იცის, რამდენი საქმეა წასული და წლების განმავლობაში არაფერი გადახედილა. ერთ დღეში 18 ტომის გაცნობა და გადაწყვეტილების მიღება — სულელები ხომ არ ვართ, დავიჯეროთ. შეიძლება, მტერს ვერ მოვერიო, მაგრამ ვიცოდე მაინც, წავიკითხო ვითარება და ასე ყველაფერი არ დავიჯერო. ასე იყო მაშინაც, როცა ჯალათები ბოგინობდნენ ჩვენს ქვეყანაში, მასალებსაც ვაწვდიდით და ვეუბნებოდით, რომ მკვლელი იყო ქალაქში, რომელიც ხალხს ხოცავდა, მაგრამ რეაქცია არ ჰქონდათ. ასე რომ, მივყვეთ პროცესს, ნუ დავიწყებთ ვიღაცების ლანძღვა-გინებას, მაგრამ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ჩვენს სასამართლოს და არა მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება ანულირებული იყოს. ჩვენ გვექნება ჩვენი დამოკიდებულება, რომელიც ამ პროცესების შემდეგ ჩამოგვიყალიბდება.

— თქვენი აზრით, უნდა გაასაჯაროს თუ არა „რუსთავი 2“-მა ის წერილი, რომელიც სტრასბურგში გაიგზავნა და რომლის საფუძველზეც მოხდა აღსრულების შეჩერება?

— მთელი ამბავი ატეხეს, რატომ არ საჯაროვდება „გაზპრომთან“ ხელშეკრულებაო და ახლა თვითონ გაასაჯაროონ, რა მისწერეს.

— ე.წ. ციანიდის საქმეზე პროკურატურამ გამოაქვეყნა მტკიცებულებები, კერძოდ კი ვიდეომასალები. როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს ამ საქმესთან დაკავშირებით?

— ხშირად მეცვლება ხოლმე დამოკიდებულება. ზოგჯერ ძალიან დიდი სიბრაზე მიჩნდება, შემდეგ რაღაცნაირად ვერევი საკუთარ თავს. არ მინდა, რაიმე ემოციური განცხადება გავაკეთო, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საკითხის მიმართ ემოციური დამოკიდებულება არ მაქვს. არ მომწონს ის, რაც ხდება. თუ რამე ქართულ სახელმწიფოებრიობაში არის საყრდენი, ეს არის ეკლესია, რწმენა. ეს ძალიან დიდი ინსტიტუტია, ჩვენი გენეტიკის, ისტორიის ბანკი. არ მიყვარს, თუ ვინმე ამას ცუდად ემსახურება, თუ ვინმე სარგებლობს რაიმე სამოსით და არ არის ისეთი მსახური — ეს ჩემში ძალიან დიდ გაღიზიანებას იწვევს. თუ დაოკდებიან და თავიანთ ავტოფარეხსაც შეხედავენ, ძალიან კარგი იქნება. არ მინდა, ასეთ დროს პატიოსან და კეთილ მსახურებს რაიმე ჩირქი მოეცხოთ. მოძღვრის დანიშნულება ძალიან დიდია. ისე უნდა მოუარო შენს სულს, შენს გონებასა და გზას, რომ ყველაფერი უნდა გასცე, არა მარტო სული, არამედ მატერიალურიც, ზოგჯერ, რაც თვალში ხვდება ადამიანს, ვფიქრობ, გამაღიზიანებელია, ისე, როგორც გამაღიზიანებელია თავისუფალი სიტყვის და დემოკრატიის შირმის უკან ამოფარება. ხშირად, ადამიანებს მზაკვრული აზრები ამ შირმის უკან აქვთ დამალული და ეს გადადის აღვირახსნილობაში, რაც მოსახლეობას ძალიან აღიზიანებს. ყველაფერი გამოჩნდება, არაფერი არ იმალება და პასუხები სჭირდება მოსახლეობას.

მარიამ პაიჭაძე

მამა გიორგი მამალაძე ჩაქვის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის თანამდებობიდან გადააყენეს

დეკანოზი **გიორგი მამალაძე ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გადააყენეს. გადაწყვეტილება ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრი შიოლაშვილმა მიიღო. მამალაძის ადგილას უკვე დანიშნეს მღვდელი დანიელ სოლომონიძე. საჯარო რეესტრში აღნიშნული ცვლილების მოთხოვნის თაობაზე განცხადება 2017 წლის 1 მარტს შევიდა, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 7 მარტს დაამტკიცა.**

მღვდელი დანიელ სოლომონიძე ქობულეთის სოფელ ზედა სამებაში ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის წინამძღვარია. დაკავებული დეკანოზი გიორგი მამალაძე აღნიშნულ სკოლას ბოლო სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ჯეჯელავა ბათუმში მოწყობილ ვანდალურ აქტს ნაციონალებს აბრალებს

მთელმა **საქართველომ, მთელმა აჭარამ და მთელმა ბათუმმა იცის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა სცადეს ბათუმში სიტუაციის თავისი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენება,** — აცხადებს განათლების მინისტრი და ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ჯეჯელავა:

„ძალიან სამწუხაროა, როცა ადამიანები მზად არიან თავიანთ პოლიტიკურ ინტერესებს გადააყოლონ ქვეყნის მშვიდობა და მოსახლეობის კეთილდღეობა“, — განაცხადა ჯეჯელავამ.

◎ კარგი ამბავი

სავალუტო ფონდი 285-მილიონიან სამწლიან პროგრამას იწყებს!

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) საქართველოში სამწლიან პროგრამას დააფინანსებს. ეს გადაწყვეტილება მისიის დონეზე იქნა მიღებული. პროგრამა დაფინანსდება 285 მილიონი აშშ დოლარით გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით. მექანიზმი შემუშავებულია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებსაც გადახდისუნარიანობა დაბალი აქვთ.

ახალი პროგრამა ეფუძნება საქართველოს მთავრობის რეფორმების გეგმას. გეგმა გულისხმობს უკვე განხორციელებულ ნაბიჯებს (აქციზის ზრდა, მოგების გადასახადის გადახდის მექანიზმის შეცვლა, საბიუჯეტო ხარჯების შემცირება და ა. შ.) და ასევე საპენსიო რეფორმას, კაპიტალის ბაზრის რეფორმას, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნას, სადაზღვევო სისტემის რეფორმას, კერძო და საჯარო თანამშრომლობის სისტემის შექმნას, გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას, მიწის რეფორმას, საჯარო ფინანსების მართვის დახვეწის ღონისძიებებსა და სხვა ცვლილებებს.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2017-2020 წლებში დასრულდება ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის ხერხემალი, რომელიც ქვეყანას საშუა-

ლებას მისცემს სრულად გამოიყენოს ლოჯისტიკური და ტურისტული პოტენციალი. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ინფრასტრუქტურის განვითარების უმნიშვნელოვანესი შედეგი იქნება რეგიონებს შორის კავშირის გაუმჯობესება, რაც გაზრდის მათ ჩართულობას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯები 2017-2020 წლისათვის მშპ-ს 5.6 %-დან 9 %-მდე გაიზრდება. ამავდროულად, 26.5 %-დან 21.7 %-მდე შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები.

რეფორმები გულისხმობს ეროვნული ბანკის მიმართულებით რეფორმებსაც. კერძოდ, სებ-ის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის განცხადებით, სავალუტო ფონდი მხარს უჭერს ეროვნული ბანკის რეზერვების განმტკიცებასა და ეროვნული ბანკის რეზერვების ზრდას.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გასული წლის მიწურულს გაკეთებული პროგნოზით, 2016 წელს მშპ-ს რეალური ზრდა 2,7 % იქნება, ინფლაციის დონე კი — 2 %, 2017 წლის ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზი 4 %-ია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული წინა ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი იყო 3,4 %, 2017 წელს კი — 5,2%.

2017 წლის ოფიციალური მონაცემები ჯერჯერობით ამ პროგნოზზე უფრო ოპტიმისტურია: იანვარში ეკონომიკური ზრდა 5,2 % იყო — მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წინასწარი შეფასება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გაავრცელა. უწყების ცნობით, 2015 წელს ეკონომიკა 2,9 %-ით, 2016 წელს კი 2,2 %-ით გაიზარდა. 2017 წლისთვის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4 %-ია.

ნინო ევგენიძე

როგორი შედეგი გამოიღო დეველოპერებისთვის სამშენებლო ამნისტიამ?

სამშენებლო ამნისტიის ფარგლებში დეველოპერულ ბიზნესში დაახლოებით 55 მილიონი დოლარი იქნა რეინვესტირებული. ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბრისას მენაშენეთა ასოციაციის წარმომადგენელმა თორნიკე აბულაძემ განაცხადა. მისი განმარტებით, 2015 წელს გამოცხადებული სამშენებლო ამნისტიამ გაამართლა.

სამშენებლო ბიზნესის ამნისტიის ფარგლებში 2008 წლამდე დაწყებული სამშენებლო ობიექტები, დღგ-სა და K2 მოსაკრებლის გადახდისაგან იმ პირობით გათავისუფლდებოდნენ, თუ ისინი მშენებლობის დასრულებას 3 წლის ვადაში მოახერხებდნენ.

როგორც აბულაძე განმარტავს, ოფიციალური უწყებებიდან იმ ინფორმაციის მიღება, თუ რამდენი მშენებლობა იქნა დასრულებული, რა ოდენობის თანხა იქნა ჩამოწერილი და სექტორში რეინვესტირებული, რთულია. მისი ინფორმაციით, ამის აღრიცხვა-მონიტორინგი ოფიციალური უწყებების მხრიდან არ ხდება. მისი განმარტებით, მენაშენეთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში 22 კორპუსის მშენებლობა უკვე დასრულებულია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროექტი შედგა. პროექტის ფარგლებში სექტორში დაახლოებით 55 მილიონი აშშ დოლარი ჩატრიალდა. რაც შეეხება დეველოპერულ კომპანია „არსს“, აბულაძე აცხადებს, რომ შესაბამის ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერიათ, თუმცა, შეთანხმებულები არიან, რომ სამშენებლო ამნისტიის ფარგლებში კომპანიას 1.6 მილიონი ლარი უახლოეს მომავალში ჩამოეწერება.

მისი ინფორმაციით, მენაშენეთა ასოციაციის და ბიზნესომბუდსმენის ინიციატივით მომზადებულია კანონპოექტი, რომელიც სამშენებლო ამნისტიის ვადის კიდევ 2 წლით, 2020 წლის 1 იანვრამდე გადაწევას გულისხმობს. როგორც აბულაძე აცხადებს, კანონპროექტის შემუშავებაში ასევე, ჩართულია ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტორები.

აბულაძის განცხადებით, კანონპროექტი მზად არის, ის საკანონმდებლო ორგანოს წარედგინება და საგაზაფხულო სესიის ფარგლებში დამტკიცდება.



დეველოპერული კომპანია „ჯიდიჯის“ დამფუძნებელი **ბეჟან წაქაძე** აცხადებს, რომ 2015 წელს მთავრობის ინიციატივამ გაამართლა. კერძოდ, მისი ინფორმაციით, სამშენებლო ამნისტიის ფარგლებში კომპანია „ჯიდიჯიმ“ ჯამში 2-3 მილიონი ლარის ისევ სამშენებლო სფეროში რეინვესტირება მოახერხა.

შეგახსენებთ, 2015 წლის თებერვალში მთავრობამ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობა 2008 წლის აგვისტომდე დაიწყო და არ დასრულებულა, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებისგან გათავისუფლდებიან. მაშინ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ სამშენებლო კომპანიების მიერ სახელმწიფოს მიმართ დაგროვილი ვალდებულებები კომპანიებს დღემდე მძიმე ტვირთად აწვება, რაც აღნიშნული დარგის განვითარებას აფერხებს.

მოგვიანებით თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ თბილისის მთავრობა მზად არის კოეფიციენტის მოსაკრებლისგან გაათავისუფლოს და მშენებლობის ნებართვების ვადა გაუგრძელოს 2008 წლის აგვისტომდე დაწყებულ მშენებლობებს. საქმე უმეტესწილად დედაქალაქში შეჩერებულ მშენებლობებს ეხებოდა, რომელმაც წინ ვერ წაიწია.

პარლამენტმა შესაბამისი ცვლილებები საგადასახდო კოდექსშიც დაამტკიცა. მაშინ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტის მიერ დამტკიცებული პროექტის თანახმად, დღგ-სგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული უძრავი ქონების მიწოდება და ასევე, სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურება. აღნიშნული შეღავათი კი იმ ობიექტებს შეეხება, რომელზეც მშენებლობის ნებართვა 2008 წლის 8 აგვისტომდეა გაცემული.

მისივე ინფორმაციით, საგადასახადო შეღავათი შეეხებოდა 30-მდე სამშენებლო კომპანიის 65-ზე მეტ სამშენებლო პროექტს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბორჯომში. სულ მისაწოდებელი ფართების ოდენობა 900 000 კვ.მ-ზე მეტს შეადგენს, ხოლო სარეალიზაციო ღირებულება 1,200 მლრდ ლარს აღემატება. ლაშა ხუციშვილის თქმით, უშუალოდ ფიზიკური პირების რაოდენობა, რომელთაც ასეთ მშენებლობებში ფართი აქვთ შეძენილი, 15 ათასამდე პირს შეადგენს. რაც შეეხება დამატებითი ღირებულების გადასახდის ოდენობას, ხუციშვილის განცხადებით, ის 200 მილიონი ლარია.

სოფო ქსოვრელი

შესაძლოა, ღვინომასალების ექსპორტი აიკრძალოს

უახლოეს მომავალში შესაძლოა, საქართველოდან ღვინომასალების ექსპორტი აიკრძალოს. „კომერსანტის“ ინფორმაციით, აღნიშნულ კანონპროექტზე ხელისუფლებაში უკვე მუშაობენ. რომელ ქვეყნებში აიკრძალება საქართველოდან ღვინომასალების ექსპორტი, რა გახდა ინიციატივის მიზეზი და ამ დროისთვის, ქვეყნიდან სად და რა რაოდენობის ღვინომასალების ექსპორტი ხორციელდება, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაში სცადა.

პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ დანელია** აცხადებს, რომ ღვინომასალების ექსპორტთან დაკავშირებით მუშაობა მთავრობაში მიმდინარეობს.

„ვიცი, რომ ამასთან დაკავშირებით არის გარკვეული ინიციატივა. ამაზე, სავარაუდოდ, ღვინის ეროვნული სააგენტო მუშაობს. ჩვენს კომიტეტში ეს კანონპროექტი არ მუშავდება. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ სადაც ღვინო ჩადის, იმ კონკრეტულ ქვეყანაში ფალსიფიცირების რისკები იზრდება. იმიტომ, რომ დავიცვათ ბრენდები, იმიტომ, რომ ხარისხი იყოს შენარჩუნებული, ვფიქრობ, რომ ცუდი არ იქნება თუ ამ კანონს მივიღებთ. თუმცა, რა თქმა უნდა, არგუმენტაცია სააგენტოს მხრიდან მოსასმენია“, — აცხადებს დანელია.

„კომერსანტის“ კითხვაზე, რომელ ქვეყანაში გადის ღვინომასალები და რა რაოდენობით, დანელია განმარტავს, რომ ღვინომასალების ექსპორტი რამდენიმე ქვეყანაში დაფიქსირდა. როგორც დანელია აცხადებს, ეს ყველაფერი შესწავლილი აქვს სააგენტოს და ამაზე დაყრდნობით მოხდა ანალიზის გაკეთება და ეს ინიციატივაც აქედან მოდის.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი **გიორგი სამანიშვილი** აცხადებს, რომ ღვინომასალების ექსპორტის აკრძალვა ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა. შესაბამისად, დეტალურად ინფორმაციას ვერ გასცემს.მისი მტკიცებით, სააგენტოში შემუშავების პროცესშია ასობით იდეა, მთვარია, როგორ მივა ბოლომდე. **„ჩვენ კანონზე არ ვმუშაობთ, კანონზე მთავრობა მუშაობს. როგორ და რა აიკრძალება, ეს დამოკიდებული იქნება მუშაობაზე“** — აცხადებს სამანიშვილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის დირექტორის **ნიკოლოზ გოგილიძის** განცხადებით, ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების გაყალბების ყველაზე მეტი შემთხვევა რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებშია. როგორც გოგილიძემ ბიზნესკონტრაქტს განუცხადა, ამ ეტაპზეც რუსეთში 800 ბოთლი ქინძმარაულია გაჩერებული და უწყება შესაბამის პროცედურებს ახორციელებს.

„გაყალბება ყოველთვის ხდება, თუმცა რეგულარულად ვახორციელებთ რეგისტრაციის პროცედურებს ისეთ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან საერთაშორისო ხელშეკრულების წევრი ქვეყნები და სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებით ვერ ხდება დაცვა.

აზერბაიჯანი და ჩინეთი არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრები არ არიან და მოგვინიჭა უფლება, რომ ამ ქვეყნებში ყველა სახის პროდუქტზე კონტროლი განვახორციელოთ, მაგალითად, ჭაჭასა და სულგუნზე. ლატვიაში გვაქვს ახლა, მაგალითად, სულგუნზე შემთხვევა“, — ამბობს გოგილიძე.

სოფო ქსოვრელი



მამუკა არეშიძე: სუს-ისა და პოლიციის შეფვებს უფლებამოსილება გამოძიებამდე უნდა შეუჩერდეთ

კავკასიოლოგი და კონფლიქტოლოგი მამუკა არეშიძე „მეტრონომთან“ ინტერვიუში იმ საფრთხეზე და გარე ძალის ფაქტორებზე საუბრობს, რომელიც 11 მარტს ღამით აქციის განვითარებისას გამოვლინდა. არეშიძე ამბობს, რომ ბათუმში, ღამით, უკვე სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელი შეიმჩნეოდა. მისი თქმით, ეს დღე მათ დაგეგმილი არ ჰქონდათ, თუმცა მოსახლეობის პროტესტის ფონზე გეგმა უფრო დააჩქარეს და მისი ამოქმედება დროზე ადრე დაიწყეს.

არეშიძის თქმით, კითხვები აჭარელი ძალოვანების მიმართაც უნდა დაისვას და მათ უნდა გასცენ პასუხი, რატომ ვერ მოხდა აქამდე ამ ნიღბიანი მობილური ჯგუფების არსებობის აღმოჩენა, რადგანაც ფაქტია, რომ ისინი რომელიღაც კონკრეტული „ნ“ დღისთვის ემზადებოდნენ...

— ვინ იყო ის ძალა, რომელმაც ღამით ბათუმის აქციის მართვა საკუთარ თავზე აიღო. რატომ გაჩნდა სეპარატისტული განცხადებები და რომელი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელწერა უფრო ჩანდა?

— აჭარა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, იმდენად მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებს, რომ ჩვენი ქვეყნის სამეზობლოსთვის ძალიან საინტერესო რეგიონია. აქ თავისი ინტერესები აქვთ, რუსეთს, თურქეთს, სომხეთს, ირანს და ა.შ.

თუმცა, ბათუმში 11 მარტს ღამით განვითარებული მოვლენების ფონზე, მე რუსული ხელწერა დავინახე. ის ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები, რომლებიც აქციაზე გაჟღერდა რუსეთის სპეცსამსახურების მახასიათებელი ნიშნები უფროა.

ეს ამბავი კარგა ხნით ადრე დაიწყო. ბათუმში და აჭარაში ნიადაგი მზადდებოდა. ვრცელდებოდა აჭარის პატრულის უფროსის ანტიაჭარული გამონათქვამი, როგორც სოციალურ ქსელებში, ისე ხალხის თავშეყრის ადგილებში. არ ვიცი, ამ ადამიანმა სინამდვილეში ეს თქვა თუ არა, თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ პირადად მასაც ვიღაცამ პროვოკაცია მოუწყო.

მე ასევე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს გეგმა დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა და ამ პროვოკაციისთვის გარკვეული დროც ჰქონდათ განსაზღვრული, თუმცა ამ ყოფით ნიადაგზე დაწყებული აქცის ფონზე, ვიღაცამ იჩქარა და ამ მზაკვრული ჩანაფიქრის ამოქმედება დაიწყო. ჯგუფებს, რომლებიც შესაბამისად აღჭურვილები და ნიღბებით იყვნენ აქციაზე, თავისი მმართველი ჰყავდათ, რომელიც ფარულად მუშაობდა.

კიდევ კარგი, რომ ამ ძალამ იჩქარა და თავი უფრო ადრე გაამჟღავნა, რის შემდეგაც გარკვეული დასკვნების გამოტანა შეგვიძლია. თქვენ ალბათ არ იცით, რომ იმ ღამით აჭარის რეგიონებში ხალხის მობილიზება ხდებოდა, ქუჩაში გამოსვლებს აპირებდნენ. ესეც გეგმის ნაწილი იყო ალბათ, თუმცა გადავრჩით...

— როგორ ფიქრობთ, სუს-ს რატომ არ ჰქონდა ინფორმაცია ამ საფრთხის არსებობის შესახებ, რატომ ვერ მოახდინა მისი პრევენცია? ეს იყო ცუდი თუ მიზანმიმართული ქმედება, რაც უფრო საგანგაში ფაქტია?

— საქართველოს შესაბამის სამსახურებს მაშინვე უნდა დაეწყოთ მოქმედება, როდესაც ჭორების გავრცელება დაიწყეს, უფრო აქტიურნი უნდა ყოფილიყვნენ. ვფიქრობ, რომ დროზე არ მოხდა არსებული რისკების შეფასება.

ის, რომ პოლიციის მანქანები დაეწვათ, ქალაქში არეულობის და დესტაბილიზაციის მომწყობი შენიღბული ადამიანების მობილური ჯგუფები გამოეყვანათ, დიდი ხნის დაგეგმილი იყო, თუმცა არა 11 მარტისთვის. როგორც უკვე აღვნიშნე ვიღაცამ ჩათვალა, რომ იმ დღეს ხელსაყრელი დრო იყო, რათა ეს გეგმა უფრო ადრე აემოქმედებინა.

მთელი ღამე ტელევიზორთან მჯდომი საზოგადოებისათვის ძალოვნების მუშაობა ეფექტური ვერ იყო, არ გამოვრიცხავ ძალოვანთა შორისაც იყო ვიღაც, ვინც ამ სიტუაციის პროვოცირებაში მონაწილეობდა. გამოდის, რომ რეგიონის ძალოვან უწყებებში პრობლემებია.

აქ უფრო შორს გასათვალისწინებელი რისკები არსებობს. ვფიქრობ, რომ ცენტრალური სტრუქტურების გენერალურმა ინსპექციებმა უნდა ჩაატარონ შესაბამისი გამოძიება და აჭარის ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთ წარმომადგენელთა უფლებამოსილება გამოძიებამდე მაინც უნდა შეჩერდეს.

ეს იყო ტესტი, სადაც გამოჩნდა, რომ ხელისუფლებამ რეაგირება დააგვიანა. ფაქტია, რომ მომიტინგეებს ღამით სხვა კონტიგენტი ჩაენაცვლა და ამ ადამიანებმა მოახდინეს დარბევა, ეს ყველაფერი უაღრესად ორგანიზებულად მოხდა.

— რას იტყვით საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურზე, მათი მხრიდან მოხდა ამ რიკსების შეფასება, რომელიც ბათუმში შეიძლება განვითარებულიყო?

— კონტრდაზვერვის სამსახურმა პანკისის მიმართულებით ნამდვილად კარგად იმუშავა. თუმცა, რაც შეეხება აჭარას, თუ დადასტურდა, რომ იქ 11 მარტს სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული აქცია ჩატარდა, მაშინ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ რისკების შეფასება ჯეროვნად ვერ მოხდა. თუმცა, როგორც ჩანს სიტუაცია მაინც ძალოვანთა კონტროლს ექვემდებარება, რადგან აქციამ უფრო დიდი მასშტაბები არ მიიღო.

ასეა თუ ისე ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ეს რეგიონი განსაკუთრებული რისკის მატარებელია, სადაც ყველა სამსახური ორმაგი ყურადღებით უნდა მუშაობდეს.

აქციაში მონაწილე ყველა პირი უნდა გამოვლინდეს, მათი კონტაქტები შეიმოწმდეს. გაირკვეს ვინ ვისი კაცია. ასევე, უნდა გამოვლინდეს ნიღბიანი ჯგუფების უკან მდგომი ძალები. აუცილებელია, ქვეყნის სხვა რეგიონებში მსგავსი რისკების განსაზღვრა. საჭიროა, ყველა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალამ გაითავისოს, რომ საკუთარი ინტერესების რეალიზაციის გამო ისეთ პროცესებში არ ჩაერთონ, რომელიც ქვეყანას დაანგრევს.

ესაუბრა
ელზა პაპოშვილი

◎ „შემოქმედი“ ბათუმიდან

რას არ იკადრებენ... კადრები!..

(მესამე გვერდიდან)

ბევრი ასეთი შემთხვევა საზოგადოებისათვის ხშირად შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ იგი საბოლოოდ უარყოფით შედეგებს იძლევა.

ჩვენ, ძველი თაობის წარმომადგენლებს, მიგვაჩნია, რომ აჭარის მთავრობის სხდომას ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი და სახელმწიფო უშიშროების სამსახური აჭარის უწყების ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს. ისინი თავად აჭარის ხელმძღვანელობასთან არა პიროვნულ, არამედ მათთან სამსახურებრივი საქმიანობით უფრო ახლოს იქნებიან და ეს ურთიერთობა მიმოწერებითა და სატელეფონო კავშირით არ ამოიწურება.

მათი მუშაობის შინაარსი სხვა დატვირთვასაც მიიღებს. ჩვენი აზრით, ის სამსახურები, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს „ზემოდან“ არ უნდა უყურებდნენ, ისინი ადგილობრივ ხელისუფლებასთან პარალელურ დაქვემდებარებაში უნდა იმყოფებოდნენ. მაშინ მათი ურთიერთობა სხვა შინაარსს შეიძენს და არ მოხდება ის, რაც 11 მარტს ვიხილეთ. მადლობა უფალს, რომ იგი უმსხვერპ;ოდ დამთავრდა.

უადგილო არ იქნება იმ კურიოზულ ფაქტებს თუ გავიხსენებთ, რომელიც ადრე ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს მოხდა, როცა მოგონილი და დაუზუსტებელი ბრალდებით ხულოსა და შუახევის რაიონის ხელმძღვანელობა დააპატიმრეს და ამ ფაქტის თაობაზე აჭარის ხელმძღვანელობამ ტელევიზიით გაიგო, როცა მათი დაქვემდებარების რაიონის ხელმძღვანელის ექსტრადირება ხდებოდა, მათ თბილისისკენ „მიაქანებდნენ“.

ეს გამონაკლისი არ გახლავთ. მსგავსი ფაქტი მოგვიანებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განმეორდა. მე შეგნებულად არ ვასახელებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის გვარს, რომლებიც კაბინეტებიდან, როგორც დამნაშავენი, ისე გამოათრიეს და ამ თავგასულობაზე მავანს საჯარო ბოდიშიც არ მოუხდია, მას მერე რაც ვერანაირი ბრალდება მათ ვერ დაუმტკიცეს. თავად მონაწილე გახლავართ იმ პროცესებისა, როცა აჭარის პროკურატურამ უგულველყო რეალური დანაშაულის ფაქტები, რომელიც მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევებსა და დანაშაულების თაობაზე წარვადგინე. ნაციონალურ მოძრაობას დღევანდელი პრეტენზიები არ ექნებოდა, მათ დანაშაულებრივ საქმიანობას სათანადო პოლიტიკური შეფასება რომ მისცემოდა. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. კოჰაბიტაცია ამჯობინა ახალმა ხელისუფლებამ. ამას რა შედეგიც მოჰყვა, კი ვხედავთ.

უნდა ვუთხრათ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, რომ მისმა გადაჭარბებულმა მიმტევებლობამ და „კოჰაბიტაციის“ პროცესებმა, რომელიც მან ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას დაუკავშირა, ის უარყოფითი შედეგი გამოიღო, რის გამოსწორებასაც დღევანდელი ხელისუფლება ვეღარ ახერხებს.

ამირან კილურაძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი

P. S. ბათუმში 11 მარტის არეულობის შეფასების დროს, ყველაზე უფრო სამართლიანად საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატის, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის განცხადება მენიშნა, რომელმაც გულწრფელად თქვა, რომ აჭარაში მიმდინარე პროცესებს სხვაგვარი შეფასება და მეტი სიფრთხილე სჭირდება. ამ მხარისადმი სხვაგვარი დამოკიდებულებაა საჭირო...

მკითხველთან ბოდიშს მოვითხოვ, თუ მისი განცხადების ზუსტ ციტირებას ვერ ვახდენ, მაგრამ მისი განცხადების დედაარსი სწორად გავიგე. პირადად დავამატებდი და ვიტყოდი, რომ გზა სწორად უნდა შევარჩიოთ, ვიდრე ურემი გადაბრუნდებოდეს, აქვე იმასაც დავამატებდი, რომ აჭარაში მიმდინარე პროცესების სწორი შეფასებისთვის ადრე აფხაზეთში დაშვებული შეცდომების სწორი შეფასება და ანალიზი გამოგვადგება. საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების შეცდომები ხომ ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ამიტომ ბათუმის პროცესებს სწორი ანალიზი და შეფასება სჭირდება. საჭიროა სწორად ავხსნათ თურქეთის ხელისუფლებაში ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდეგ პრემიერად მოღვაწე ბატონი დაუთოღლუს მიერ გაკეთებული განცხადება „აჭარა ჩვენია, მას თოფის გარეშე დავიბრუნებთ, აჭარა ჩვენია და იგი რუსებმა წაგვართვაო.“ ვიმეორებ, ახლავე უნდა ვიფრთხილოთ, ვიდრე ურემი გადაბრუნდებოდეს.

ჭკუით, ჭკუით ქართველებო!

დღევანდელ პუბლიკაციას ამით ვამთავრებ. დანარჩენი კი ხვალ.

ა. კ

აფხაზეთში უბიხურის სწავლება დაიწყო

ენის გაცოცხლების მცდელობა თუ პოლიტიკური გეგმა?

ოკუპირებული აფხაზეთის „სახელმწიფო უნივერსიტეტში“ უბიხების „მკვდარი“ ენის საფუძვლების სწავლება დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში აფხაზმა ფილოლოგმა, პროფესორმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ განათავსა, რომელსაც უბიხური ენის კურსი თავად მიჰყავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ენის სწავლების მნიშვნელოვანი გამოცდილება დაგროვდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროფესორმა რუსუდან ჯანაშიამ ქართულ ენაზე შედგენილი პირველი სპეციალური მონოგრაფია (სახელმძღვანელო) „უბიხური ენა“ შექმნა, რომელიც 2015 წელს გამოიცა. ამ დროისთვის კი წიგნი უკვე მზადაა რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსაცემად. ბეჭდვისთვის მზადდება ასევე ჟორჟ დიუმეზილისა და მისი შეგირდის – ჟორჟ შარაშენიძის ამ დროისთვის ყველაზე სრული „უბიხური ენის გრამატიკის მოკლე კურსი“, რომელიც ფრანგულიდან ქართულ და რუსულ ენებზე ითარგმნა.

„თუ ისეთი დონის სპეციალისტი, როგორიც ჩირიკბაა, უბიხური ენის კურსს გაუძღვება, შეგვეძლება, ვთქვათ, რომ საქმე სანდო ხელშია. და, რაღა თქმა უნდა, შეიძლება, მხოლოდ მივესალმოთ ამ წამოწყებას. სამწუხაროდ, უბიხების ენა გაქრა. შეგვიძლია, მისი კვდომის ზუსტი თარიღიც კი დავასახელოთ – 1992 წელი, როდესაც მისი ბოლო მატარებელი თევფიკ ესენჩი გარდაიცვალა. ამჟამად თურქეთში უბიხებით დასახლებული რამდენიმე ათეული სოფელია, რომელთა მცხოვრებლებმა უბიხების ენა არ იციან. ისინი ხომ ჩერქეზები არიან და იყვნენ ძალისმიერ გადასახლებამდე, გენოციდამდე. ეს იყო ერთ-ერთი ჩერქეზი ხალხის 12 შტოდან, თუმცა ჰქონდათ საკუთარი – უბიხური ენა, ჩერქეზულთაგან ერთ-ერთი. უბიხური ერთ-ერთია აფხაზურ-ჩერქეზულ ენებს შორის, მას შუალედური ადგილი უკავია აფხაზურ-აბაზინურ და ადიღიურ ენებს შორის. პირადად ჩემი აზრით, ეს,რა თქმა უნდა, ჩერქეზული ენაა“, – ამბობს თსუ-ის პროფესორი, ენათმეცნიერი **მერაბ ჩუხუა.**

„Кавказ.Реалии“-ს თანამოსაუბრე **ჰიქმეთ ბაჯე,** ისევე, როგორც პრაქტიკულად ყველა უბიხი თურქეთში, თავს ჩერქეზად თვლის. იგი შესანიშნავად საუბრობს ჩერქეზული ენის აბაძეხურ დიალექტზე. ყვება, რომ თურქეთის უბიხურ სოფლებში მოსახლეობა ჩერქეზულის სხვადასხვა დიალექტებზე საუბრობს, რომლებიც მიმოფანტულია მთელს თურქეთში და ასიმილირდება. ბაჯე გამოთქვამს სურვილს, უბიხური ენა აღდგეს, რათა „უბიხები ხალხად შენარჩუნდნენ და არ გაქრნენ“.

თუმცა ყველა ჩერქეზი ოპტიმისტურად განწყობილი როდია. საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩერქეზთა კავშირის“ თავმჯდომარე **რუსლან ქეში** ამბობს, რომ **„უბიხები ჩერქეზი ხალხის ეთნიკური ჯგუფია, რომელიც თანამედროვე სოჭის რაიონში სახლობდა და ზღვით ორი მხრიდან ესაზღვრებოდა სხვა ჩერქეზულ ქვეჯგუფებს – შაფსუგებს ჩრდილოეთით და ჯიგეთებს სამხრეთით, მთებით ისინი ჩრდილოეთ კალთის აბაძეხებს ესაზღვრებოდნენ და ამ უკანასკნელებთან ძალზე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ“.**

მისივე თქმით, უბიხები განსაკუთრებულ დიალექტზე საუბრობდნენ, რომელსაც ზოგჯერ ცალკე ენადაც თვლიან, თუმცა მისი ლექსიკა ძალზე ახლოსაა ჩერქეზულთან.

ქეშის განცხადებით, უბიხების ჩერქეზულზე გადასვლის ბუნებრივი პროცესი პრაქტიკულად დასრულდა ჯერ კიდევ კავკასიაში ყოფნის დროს და არ უკავშირდება მათ გადასახლებას.

„უბიხური ენის სიტყვათა უმრავლესობა საერთო ჩერქეზულია, მაგრამ ამასთან, დაზუსტებული მონაცემები უბიხური დიალექტის სიტყვებისა და გრამატიკის შესახებ ცოტაა, ამდენად, უბიხურის აღდგენა, ჩემი აზრით, პრაქტიულად შეუძლებელია. ეს იქნება ენის არა აღზევება, არამედ თანამედროვე, ხელოვნური რეკონსტრუქცია, რომლის საჭიროება არ არსებობს და იგი გამოყენებული იქნება მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით“, – თვლის ქეში.

„Кавказ.Реалии“

◎ ევროკავშირის ინიციატივა

„პოლიტიკურად მოტივირებული“ უცხოური ინვესტიციები შეიზღუდება

ევროკავშირი სტრატეგიულ ობიექტებში პოლიტიკური ფინანსების შემოსვლაზე კონკრეტული შემზღუდავი მექანიზმების დაწესებას აპირებს. კერძოდ, ევროკავშირი „პოლიტიკურად მოტივირებული“ უცხოური ინვესტიციების აკრძალვას გეგმავს. „როიტერის“ ინფორმაციით, კავშირს შესაბამისი მოთხოვნით მიმართეს გერმანიამ, საფრანგეთმა და იტალიამ, რომლებსაც არ სურთ, რომ მათი სტრატეგიული ინტერესების სექტორში მოქმედი კომპანიები ან მათი ნაწილი უცხოელების ხელში აღმოჩნდეს.

გავრცელებული ინფორმაციით, **ამჟამად ევროკავშირი აპირებს დაბლოკოს ის გარიგებები, რომლებიც ანტიმონოპოლიურ კანონს არღვევს. ყველაზე ძლიერი ეკონომიკების მქონე ქვეყნების მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, ევროკავშირი იმ შესაძლო გარიგებებსაც შეისწავლის, რომლებიც შესაძლოა, მიუღებელი იყოს კავშირისა და მისი წევრი ქვეყნების სტრატეგიულ კომპანიებში უცხოური ინვესტიციების, ეკონომიკური ან უსაფრთხოების კუთხით. როგორც „როიტერი“ წერს, საუბარია თავდაცვის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურებისა და მაღალტექნოლოგიურ კომპანიებზე.**

გარდა ამისა, აკრძალვები შეიძლება გავრცელდეს იმ სფეროებზეც, რომლებიც ევროკავშირისა და მისი ქვეყნების ეკონომიკების კეთილდღეობას უზრუნველყოფს. სამი ქვეყნის ერთობლივ წერილში ლაპარაკია შემთხვევებზე, როცა, მაგალითად, ჩინეთის მთავრობა თავის კომპანიებს აფინანსებს იმისთვის, რომ მათ შეძლონ ევროპულ ბაზარზე სტრატეგიული შეღწევა.

გერმანიას ჰქონდა შემთხვევები, როცა ჩინურ კომპანიებს მისი ტექნოლოგიური კომპანიების შეძენა სურდათ. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელმა „მიდეამ“ რობოტების მწარმოებელი „კუკა“ შეიძინა. ჩინურმა კომპანიებმა შარშან ევროპაში 10 მილიარდი დოლარის ინვესტიციები განახორციელეს, რაც წინა წლის მონაცემებზე, დაახლოებით, 40-ჯერ მეტია.

ევროკავშირის ზოგ ქვეყანას საკუთარი სტრატეგიული კომპანიების დაცვის საკუთარი წესები აქვს, მაგრამ კავშირს, ერთობლივად, ამ კუთხით დამცავი მექანიზმი ჯერ არ შეუმუშავებია. სამი ქვეყნის შეთავაზების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ევროკავშირი დაბლოკავს ასევე ისეთი კომპანიების გარიგებებს, რომლებიც ამით საკუთარი ჭარბი ფინანსური შესაძლებლობების „დასაქონლებას“ ცდილობენ. უფრო მეტიც, დაიბლოკება შესყიდვები ისეთი კომპანიებისგან, რომელთა უმაღლეს მმართველობაში არაევროკავშირელი პირები მუშაობენ.

ეს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ორიენტირებულია გარე ეკონომიკური ექსპანსიისგან თავის დაცვაზე, მეორე მხრივ კი, ერთგვარი ანალოგიც კია აშშ-ის ახალი პრეზიდენტის იმ განწყობებისა და ნაბიჯების, რომლებიც ამერიკული ფირმებისა და ამერიკული საქმიანი ძალის დასაქმებაზეა გათვლილი.

გეგმის მიღებამდე ის ჯერ ევროკავშირის ყველა კომისიამ უნდა მოიწონოს. შემდგომ ეტაპზე გეგმა ევროკავშირის ქვეყნებმა და ევროპის პარლამენტმა უნდა დაამტკიცონ. იმისათვის, რომ ბრიუსელში ძალაუფლების კონცენტრაცია გამორიცხოს, ევროკავშირის მიერ კომპანიებს შორის გარიგებაზე ვეტოს დადების შემთხვევაშიც, ცალკეულ ქვეყნებს, სადაც აღნიშნული კომპანიები იქნება ბაზირებული, უფლება ექნებათ გარიგებაზე ნებართვის მიცემის ან არმიცემის. გეგმა ითვალისწინებს ასევე ევროკავშირის სპეციალური სააგენტოს შექმნას, რომელიც უცხოურ ინვესტიციებს გააკონტროლებს.

ეს საკმაოდ სერიოზული შემზღუდავი მექანიზმია, რომელიც იდეაში შესაძლოა, უარყოფითადაც აისახოს ევროკავშირში ინვესტიციების მასშტაბებზე და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზეც. თუმცა, მეორე მხრივ, ის მონოპოლიურ სფეროებში ერთი ქვეყნის ფინანსების შემოსვლას დააზღვევს. **მსგავსი პრევენციული ზომების საჭიროება საქართველოში არაერთხელ დამდგარა, როცა დღის წერიგში იყო ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო პრივატიზება, რომელშიც ინტერესი, ცხადია, რუსულ სახელმწიფო კომპანიას ჰქონდა; მსგავსი კითხვები და არგუმენტები ყოველთვის ისმის ასევე რკინიგზის შესაძლო პრივატიზების გეგმებთან დაკავშირებით საქართველოში.**

ევროკავშირის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, საინტერესო პრეცედენტი აღმოჩნდეს საქართველოსთვის განსაკუთრებით შედეგის თვალსაზრისით.

ნინო ევგენიძე

ტრამპს საიმიგრაციო კანონი ისევ დაუბლოკეს

ჰავაის შტატის ფედერალურმა მოსამართლემ დონალდ ტრამპის მიერ გაცემული საემიგრაციო ბრძანება დაბლოკა. ამ გადაწყვეტილებით მოსამართლემ ის სარჩელი დააკმაყოფილა, რომელიც პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ბრძანების მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებდა. მოსამართლის ვერდიქტს თეთრი სახლის ლიდერი უკვე გამოეხმაურა. ტრამპის თქმით, დერიქ უოსტონმა მოსამართლის უფლებამოსილებას გადააჭარბა. პრეზიდენტის ახალი საემიგრაციო ბრძანება, რომელიც 7 მუსლიმური ქვეყნის მოქალაქეებისთვის შეერთებულ შტატებში შესვლის აკრძალვასა და მიგრანტების მიღების შეჩერებას ითვალისწინებს, დღეიდან უნდა ამოქმედდეს.

ტრამპს და მეჯისს უთანხმოება აქვთ

თეთრი სახლის ლიდერსა და თავდაცვის მდივანს სერიოზული უთანხმოება აქვთ. ამის შესახებ ინტერნეტ-პორტალი „დიფენს ნიუსი“ იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპი და ჯეიმს მეტისი პენტაგონის მაღალჩინოსნების კანდიდატურებზე ვერ თანხმდებიან. ერთ-ერთი კანდიდატი დიპლომატი ენ პატერსონი იყო, რომელსაც თავდაცვის მდივანი თავის მოადგილედ განიხილავდა. პატერსონი წინასაარჩევნო კამპანიისას ტრამპის წინააღმდეგ გამოდიოდა. მისი კანდიდატურა ტრამპის მოთხოვნით აღარ განიხილება. თანამდებობაზე თეთრი სახლის ლიდერს მირა რიკარდელის დანიშვნა სურს.

კიმ ჩონ ნამის ცხედარს, სავარაუდოდ, ფხენიანს გადასცემენ

კიმ ჩონ ნამის ოჯახს მალაიზიის ხელისუფლებამ გარდაცვლილის ცხედრის განკარგვის უფლება მისცა. ამის შესახებ მალაიზიის პოლიციის უფროსის მოადგილემ ნურ რაშიდ იბრაჰიმმა განაცხადა. მისივე თქმით, გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა ცხედრის წაღებაზე უარი თქვეს. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მალაიზიამ კიმ ჩონ ნამის ცხედარი შეესაძლოა, ჩრდილოეთ კორეას გადასცეს, რის ნაცვლადაც ფხენიანის მიერ დაკავებული 9 მალაიზიელის გათავისუფლებას ითხოვს. ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ნახევარძმაზე თავდასხმა კუალა-ლუმპურის აეროპორტში 13 თებერვალს განხორციელდა. ის ტოქსიკური ნივთიერებით მოწამლეს.

ᲨᲞᲡ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲨᲞᲡ „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘ" (ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ქ. �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ქ. №8 III-ᲡᲐᲠᲗ. ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲚᲘᲡ რ-ᲜᲘ ᲡᲝᲤ. ᲡᲐᲑᲔᲠᲘᲝ), ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ №5 ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲝᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲛᲝᲠᲢᲘᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲕᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ (ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘ), ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲖᲔ:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე"-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ავტობუსი მერსედეს–ბენცი	A964 PO	1990	5775	500	50	20	გალი, საბერიო
2	გაზ322132	A546PT	2007	5625	500	120	20	საბერიო
3	შევროლეტ სუბურბან	P791MH	2003	8625	800	200	20	საბერიო
4	უაზ3962	FAN 255	1999	1275	150	50	20	ჯვარი
5	ტოიოტა 4 რანნერი	NBN -310	1997	3375	300	100	20	ჯვარი
6	ფორდ–ტრანზიტი	GCC-751	1993	2550	250	80	20	ჯვარი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის ᲨᲞᲡ „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ" ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია

ᲨᲞᲡ „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘ", ს/კ 251716371

ᲡᲡ „ᲞᲠᲝᲙᲠᲔᲓᲘᲢᲑᲐᲜᲙᲘ" ᲙᲝᲓᲘ MIBGGE22; ანგ. N GE59PC0173600100015015 GEL

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ" ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2017 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 10 ᲡᲗ-ᲓᲐᲜ 2017 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 12 - ᲡᲗ-ᲛᲓᲔ,** ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲨᲘ.

აუქციონი ჩატარდება **2017 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲛᲐᲠᲢᲡ 14 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲖᲔ,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

–დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული ᲨᲞᲡ „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ" ოფისი);

–„ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

–აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

–ფიზიკური პირის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

–იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

–სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

– რეალიზების შემთხვევაში ქონება იბეგრება დღგ-თი;

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს ᲨᲞᲡ „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲗᲐᲜ" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

საᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲝ კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული ᲨᲞᲡ „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ" ოფისი, ტელ. 595 227050

ᲨᲞᲡ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲒᲖᲐ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ... ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲬᲛᲘᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲚᲘᲗᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲣᲕᲚᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲖᲠᲗᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘ�გᲠᲫᲔ 5,66 ᲙᲛ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲒᲖᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲨᲞᲡ „ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ" ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ 175 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ. ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘ 2017 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ �კᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ, ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ �თᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲘ�წᲧᲔᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲨᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲣᲕᲚᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚ ᲒᲖᲐᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ�გᲕᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ: ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ, ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ ᲓᲐ ᲒᲠᲣᲜᲢᲝᲕᲐᲜ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲮᲘᲑᲚᲡ ᲡᲫᲔᲜᲓᲐ.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲓᲘ: „ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲥ ᲛᲝᲓᲘᲡ, ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔ ᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ ᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ: ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠᲐᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲣᲚᲘ, ᲪᲝᲢᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ. ᲐᲛ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲓᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲬᲕᲔᲠᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲮᲔᲓᲔᲑᲘ ᲘᲛᲚᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ�გᲕᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘᲐ. ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲝᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲥ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲖᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲮᲘᲑᲚᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲕᲡ".

ᲝᲗᲝᲠᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ᲒᲘᲓᲘ: „ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ ᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲘᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲒᲖᲐᲛ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲐᲣᲐᲠᲝᲡ. ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲣᲭᲘᲠᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲘᲥ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲬᲣᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲪ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲪ. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲗᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲖᲐᲐ. ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲝᲑᲐᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲐᲥ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ 80 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲖᲔ. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘ, ᲕᲘᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ, ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲡ. ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘ�გᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲪ. ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲬᲕᲔᲠᲮᲖᲔ ᲐᲒᲒᲧᲐᲕᲡ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲕᲢᲝᲕᲔᲑᲗ 1 ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲬᲕᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲣᲚᲘ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ.“

ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ �გᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲬᲛᲘᲜᲓᲐ-�გᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲘᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲘᲡ ᲙᲛ1-ᲙᲛ6 ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ-ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ 5,5 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘ. 1,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘᲧᲝ, 4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲙᲘ — 2016 ᲬᲔᲚᲡ. ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

„ᲘᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲓᲔᲚᲘᲙᲔᲑᲘᲗ" ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲔᲗᲝᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲥᲕᲡ. ᲗᲣ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲗ, ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲒ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲗ, ᲐᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲔᲠᲘᲝᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲪ. ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲐᲢᲧᲐᲕᲔᲑᲗ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲔ-14 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ, �გᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲑᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲬᲛᲘᲜᲓᲘᲓᲐᲜ 6 ᲙᲛ-ᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲢᲐᲫᲠᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲡ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲗ ᲐᲜ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ ᲥᲘᲠᲐᲝᲑᲔᲜ. „ᲜᲘᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ 30-40 ᲚᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ, ᲮᲝᲚᲝ „ᲓᲔᲚᲘᲙᲘᲡ“ — 50-70 ᲚᲐᲠᲘ.

ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲨᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ

ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲨᲘ, ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ-ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ 31 ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲐᲠᲙ ᲠᲣᲢᲔᲡ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ �გᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ. exit polls-ᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, �გᲔᲠᲢ ᲕᲘᲚᲓᲔᲠᲡᲘᲡ ᲣᲚᲢᲠᲐ-ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ“, ᲐᲮᲐᲚ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ 19 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘᲕᲔ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐᲛ“ ᲓᲐ „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ-66“-ᲛᲐ.

ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲡ 150 ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ�გᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢ

◎ ჭადრაკი

ლიდერობს ხოტენაშვილი

ბელა ხოტენაშვილი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 74-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, უკვე ხუთი ტური მიილია. ბელა ხოტენაშვილს 4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა და მეხუთეში შავებით 18-წლამდელთა შორის ევროპის ორგზის ჩემპიონ ნინო ხომერიკს შეუთანხმდა ყაიმზე, მაგრამ 4.5 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა მაინც შეინარჩუნა, რადგან უახლოესი მდევარი მერი არაბიძე თეთრი ფიგურებით სალომე მელიასთან დამარცხდა. მე-5 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: მირანდა მიქაძე და თამარ წერეთელი დაზავდნენ, ნინო ხურციძემ ანა კუჭავას, სოფიო გვეტაძემ კი სოფიკო ხუხაშვილს აჯობა.

ხუთი ტურის შემდეგ: ხოტენაშვილი — 4.5, მელია, არაბიძე, გვეტაძე — 3.5-3.5, ხურციძე — 3, წერეთელი, ხომერიკი — 2-2, კუჭავა — 1.5, მიქაძე — 1, ხუხაშვილი — 0.5 ქულა.

მოასპარეზეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს მე-6 ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: ანა კუჭავა — სოფიკო ხუხაშვილი, თამარ წერეთელი — სოფიო გვეტაძე, სალომე მელია — მირანდა მიქაძე, ბელა ხოტენაშვილი — მერი არაბიძე, ნინო ხურციძე — ნინო ხომერიკი.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ქართველთა დუელი ამერიკაში

ირვინგში (აშშ) დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 150.000 დოლარი), რომელშიც მე-4 ნომრად ჩაება თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი (რეიტინგით 55-ე). ასპარეზობის სტარტზე იგი რუსეთის სახელით მოასპარეზე თეიმურაზ გაბაშვილს (165) შეხვდა. 2013 წელს თურქულ ტურნირზე გაბაშვილმა სამ სეტში აჯობა ნიკას, ოკეანის გაღმა კი საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრების ლიდერმა რევანში აიღო — აშკარად დაჯაბნა მეტოქე: პირველი ხელი ბასილაშვილმა 6:1 მოიგო, ხოლო მეორე სეტში 6:4 გაიმარჯვა და მერვედფინალში გავიდა.

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში პირველ ნომრადაა განთესილი თბილისელი სოფიო შაფათავა. პირველ წრეში მან სერბ ბოიანა მარკოვიჩს იოლად მოუგო — 6:2, 6:3. წყვილებში შაფათავამ ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად სერბები — მილიცა კურბანოვიჩი და ბოიანა მარკოვიჩი ჩამოიშორა გზიდან — 7:5, 6:2.

ანტალიურ ტურნირს გამოეთიშა ლანა კენჭიაშვილი: ერთეულებში ასპარეზობის საკვალიფიკაციო ეტაპზე მან მეორე ორთაბრძოლა დათმო და ძირითად ბადეში ვერ მოხვდა — წყვილებში ინდოელ ლუიხმანთან ერთად პირველ ნომრად განთესილ დია ევტიმოვას (ბულგარეთი) და იასმინა ტინჯიჩის (ბოსნია) ტანდემთან დამარცხდა — 1:6, 1:6.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

ინგლისი და ახალი ზელანდია შემოდგომაზე?

ინგლისისა და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირები მიმდინარე წლის შემოდგომაზე ტესტ-მატჩის გამართვის შესაძლებლობას განიხილავენ.

მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრები ედი ჯონსმა ჩაიბარა, გუნდმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, ზედიზედ მეორედ მოიგო ექვსი ერი და, საერთოდაც, აგერ უკვე მეორე წელიწადია, დაუმარცხებლად თამაშობს. ამან რაგბის ქომაგებში ინგლისისა და „ოლ ბლექსის“ შეხვედრისადმი ინტერესი გააჩინა და ახლა ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შანსი გაჩნდა.

„ოლ ბლექსს“ 2018 წელს შევხვდებით, თუმცა, მზად ვართ, მათთან უფრო ადრე თამაშის შესაძლებლობაც განვიხილოთ“, — განუცხადა The Telegraph-ს ინგლისის რაგბის კავშირის წარმომადგენელმა ადრიან ფიორზმა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ინგლისისა და ახალი ზელანდიის ნაკრებები, შესაძლოა, მიმდინარე წლის 4 ნოემბერს შეხვდნენ ერთმანეთს. მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი მატჩის ღირებულებაა — „თვიქნემზე“ თამაშის სანაცვლოდ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს.

კობა კობახიძე

◎ კრივი

შვიდეული - რუმინულ რინგზე

კონტინენტის 40 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ რუმინულ ბრაილაში 22-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე. ამ ასაკში ეს სადებიუტო შეჯიბრებაა, ამიტომ კარპატებში უძლიერესმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. საქართველოს ნაკრები (ნოდარ დარბაიძე (49 კგ, თბილისი), არტიომ გომციანი (56, ახალქალაქი), ლაშა გურული (64, რუსთავი), ესკერხან მადიევი (69, თბილისი), კონსტანტინე ხვისტანი (75, ქუთაისი), რატი ტლაშაძე (81, გორი) და გიორგი ჭიღლაძე (+91, თბილისი), დელეგაციის ხელმძღვანელი — დავით წიკლაური, მწვრთნელები — შალვა დუნდუა და ბეჟან ჭიჭინავა, რეფერი — ტარიელ გოგოჭური) ტურნირზე შვიდი მოკრივით წარდგა. პირველი ორთაბრძოლები მოიგეს ლაშა გურულმა და ესკერხან მადიევმა. რუსთაველმა სპორტსმენმა რუს ანდრეი კირიჩენკოს აჯობა, ხოლო თბილისელმა მადიევმა ბულგარელთა სახელით მოასპარეზე რობერტ ჩამასანიანი ჩამოიშორა გზიდან. ჩემპიონატი 22 მარტს დასრულდება.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

სამთავროდან ტახტი გამოჩნდა

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა დღეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში თბილისის დროით 15 საათზე მოეწყობა და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი შემოგვთავაზებს. თანამედროვე ევროპულ საკლუბო ფეხბურთში არსებულ ძალთა თანაფარდობაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის იმ ქვეყნების წარმომადგენლობისთვის თვალის შევლება, რომლებიც ყველაზე პრესტიჟულ კონტინენტურ ტურნირს შემორჩნენ:

ესპანეთი (3) — „ბარსელონა“, „რეალი“, „ატლეტიკო“.

გერმანია (2) — „ბაიერნი“, „ბორუსია“.

იტალია (1) — „იუვენტუსი“.

ინგლისი (1) — „ლესტერი“.

საფრანგეთი (1) — „მონაკო“.

რაც შეეხება მერვედფინალურ რაუნდს, იგი სხვადასხვა სცენარით განვითარებული მოვლენებით გამორჩეულმა ორმა შეხვედრამ დააგვირგვინა და ამჯერად ჩვენც სწორედ მათ შევაწევთ ორიოდე სიტყვას.

„მონაკო“ — „სიტი“ 3:1

(პირველი მატჩი 3:5)

მასპინძლებს დაცვის ბურჯი კამილ გლიკი და შეტევათა ლიდერი რადამელ ფალკაო აკლდათ, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწიეს, რაშიც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სტოუნ-კოლაროვის უკანახაზელთა ტლანქი დუეტის დაშვებულმა უხეშმა პოზიციურმა შეცდომებმა.

მთლიანობაში ლეონარდო ჟარდიმის გუნდის წარმატებას შემთხვევითობას ნამდვილად ვერ მივაწერთ, რადგან სამთავროელები მრისხანე მეტოქეს მრავალ კომპონენტში აღემატებოდნენ, მათ შორის — ინდივიდუალურ ოსტატობაში. მართლაც, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ბერნარდო სილვა, ლამერი, ბაკაიოკო, მენდი, ფაბინიო და მბაპე ისეთ აღიარებულ სოლისტებს დაჩრდილავდნენ, როგორიც დავიდ სილვა, აგუერო, სტერლინგი, დე ბრუინი და სანე არიან, მაგრამ ფაქტი სახეზეა.

ისიც სათქმელია, რომ ჩემპიონთა ლიგაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ერთ მატჩში ხუთი გოლის გამტანი გუნდი გათამაშებას ეთიშება.

რაც შეეხება სტუმართა თავკაც ხოსეპ გვარდიოლას, მისი შეგირდები ასე ადრეულ ეტაპზე ჯერ არ გასულან გაღმა. შეგახსენებთ, რომ წინა სამ ტურნირში მისი დამოძღვრილი „ბაიერნი“ ნახევარფინალში მარცხდებოდა ესპანურ გრანდებთან, ახლა კი მონტე-კარლოელთა ჯერი დადგა, თანაც — პლეიოფის სტარტზე.

„ატლეტიკო“ — „ლევერკუზენი“ 0:0

(პირველი მატჩი 4:2)

ამ წყვილში ყველაფერი პირველმა მატჩმა გაარკვია, ამიტომ „ვისენტე კალდერონზე“ გამართული უგოლო სანახაობა ადვილად პროგნოზირებადი გახლდათ.

ობიექტურობა მოითხოვს აღნინიშნოს, რომ მთელ რიგ ეპიზოდებში ჩინებულად ითამაშეს როგორც „შავ-წითელთა“ მეკარე ობლაკმა, ისე მისმა გერმანელმა კოლეგამ ლენომ.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

იგუადალა დააჯარიმეს



ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი, “გოლდენ სტეიტის“ ფორვარდი ანდრე იგუადალა ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციამ 10 000 დოლარით დააჯარიმა. აღნიშნულ ინფორმაციას ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

„მინესოტასთან“102:103 წაგებულ შეხვედრაში იგუადალამ რამდენიმე არაკორექტული ფრაზა თქვა, მაგალითად: „გონებაშეზღუდული ზანგი“... მანვე ოკლენდელთა თავკაცი სტივ კერიც არასასიამოვნო სიტყვებით მოიხსენია.

თუმცა, ეს ყოველივე ანდრემ უარყო და განცხადა, რომ მას მსგავსი რამ არ უთქვამს.

ვიტალი ჯაფარიძე

ეპიტაფია

„იყო... ცხოვრობდა... წერდა... უყვარდა...“

პოეტ გენო კალანდიას გარდაცვალების გამო

აფხაზეთის და სრულიად საქართველოს საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ეროვნული მოძრაობისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის აქტიური მებრძოლი, გამოჩენილი ქართველი პოეტი, პოეტური მუზის იდუმალების წვდომის კლასიკური ოსტატი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი **გენო კალანდია**.

ბატონი გენო კალანდია განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა მოწოდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შუაგულში ყოფნაა, იგი გახლდათ თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორი თავდადებით უნდა ემსახურო საკუთარ ხალხს და სამშობლოს. ის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი და მებრძოლი პოეტი, ყოველთვის იმყოფებოდა ბრძოლის წინა ხაზზე. მისი ომახიანი ხმა-შეძახილი აფხაზეთში საომარი მოქმედებებისას, ჭუბერის გოლგოთის გზაზე ამოქმედებული სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში, საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან თუ მისი შესანიშნავი პოეტური კრებულებიდან, ყველგან და ყოველთვის ჟღერდა, როგორც გამამხნევებელი და იმედის მომცემი, უკეთესი მომავლის რწმენისა და სულის სიმტკიცის შენარჩუნებისაკენ მოწოდების ზარი.

გენო კალანდიას შემოქმედება ქართული პოეტური ნიჭის კიდევ ერთი ბრწინვალე გაელვებაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, იგი ღირსეულად ამშვენებს ეროვნული კლასიკური მწერლობის უმდიდრეს საგანძურს. გენო კალანდიას შემოქმედება ღრმა ფილოსოფიური წიაღსვლებით და უნაზესი ლირიკით შეკრული პოეტური ნაშრომებით, მარადიულ ღირებულებებზე ფიქრის, მათზე მუდმივი ზრუნვის ჭეშმარიტი ნიმუშია.

ბატონი გენო კალანდია დაიბადა 1939 წლის 15 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში. ჟურნალისტური განათლება მიიღო მოსკოვში, სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის რადიოში, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“, სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, იყო აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ალმანახ „ეგრისის“ რედაქტორი, ჟურნალ „რიწის“ პასუხისმგებელი მდივანი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე. მისი ძალისხმევით დაწესდა ცნობილი აფხაზი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია, რომლის კომიტეტსაც წლების განმავლობაში თავადვე ხელმძღვანელობდა.

გენო კალანდიას ლექსების პირველი კრებული „ცა და ფოთლები“ გამოვიდა 1966 წელს ქ. სოხუმში, მისი პიესები „მთვარის საათი“ „ადგილის დედა“ და „ძე შეცდომილი“ დაიდგა სოხუმისა და საქართველოს სხვა თეატრებში. გენო კალანდია 30-მდე პოეტური კრებულისა და დრამატული პიესის ავტორია, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა: „ფესვები“, „მიწის ჭრილობა“, „მწუხრის არაბესკები“, „მესამე თვალი“, „ასი სონეტი“, „რეკვიემი“, „ისევ რეკვიემი“, „ერთტომეული“. მისი ლექსები თარგმნილია და ცალკე წიგნებად გამოცემულია რამდენიმე ენაზე.

მას არაერთი სამომავლო გეგმა ჰქონდა, მაგრამ ამ წუთისოფელში თავისი ფიზიკური არსებობა ყველასთვის მოულოდნელად, სულ რაღაც ერთი თვის ავადმყოფობის შემდეგ, სამოცდამეთვრამეტე წელს ამოწურა.

ასეთი უზადო ნიჭით დაჯილდოებული ბატონი გენო ურთიერთობებში იყო უშუალო და გულისხმიერი, ყველასთვის მზრუნველი, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისადავით და თავმდაბლობით. ერთ-ერთ ლექსში „ანდერძი“ მთელი თავისი მოღვაწეობა მწირი სიტყვებით აქვს შეფასებული:

...იყავ ერთგული ჩემთა უფალთა,
და ამოკვეთე საფლავის ქვაზე:
იყო... ცხოვრობდა... წერდა.... უყვარდა....“

წავიდა ჩვენგან თავის ხალხსა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ მისი აფხაზეთი აუცილებლად დაუბრუნდებოდა დედასაქართველოს. არ ეპუებოდა უსაყვარლეს და მონატრებულ მშობლიურ გარემოს მოწყვეტას, „დევნილის“ ხვედრს.... აფხაზეთი იყო მისი გულის სიღრმიდან ამოსული მოუშუშებელი ტკივილი, ყოველდღიური ფიქრი და ხვალინდელი იმედი. წავიდა კიდევ ერთი, საკუთარ კარ-მიდამოში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით და დარდით გულდაფერფლილი კაცი პატრიოტი, კაი ყმა, მამულისა და ერის მოყვარე, წავიდა უღალატო და ერთგული მეგობარი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და დიდი ტკივილი დაუტოვა თავის ოჯახსა და ახლობლებს.

გაგვიჭირდება ბატონ გენოზე წარსულ დროში საუბარი, ყოველთვის მოვისაკლისებთ მის სითბოსა და სიყვარულს, თუმცა მარადისობაში დავანებული ისევ გააგრძელებს სიცოცხლეს ჩვენს გულებში. მის სახელსა და ავტორიტეტს არასდროს მოაკლდება სიკაშკაშე ზეციურ საქართველოში! სიმბოლურია ისიც, რომ მისი ბოლო ნაშრომი — „საგალობლები უფლისთვის“, რომელიც მკითხველმა იხილა მის გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე, არის ხმამაღალი აღსარება ღვთის წინაშე, რასაც ადასტურებს პოეტის ეს სტრიქონები“.

„უფალო, ჩემი სახელით გეტყვი:
მადლობა დიდი! შენთან ვარ, აქ ვარ!
როდესაც წავალ, განგების ნებით,
მიხილავ უფრო ერთგულს და მართალს“

მშვიდობით, ბატონო გენო!

მსუბუქი იყოს ქართული მიწა, რომელიც სიყვარულით მიიბარებს თქვენს ღირსეულ ცხედარს! უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი! ამინ!

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო: გვაზავა ელგუჯა, გვაძაბია დავითი, გამახარია ჯემალი, გასვიანი აკაკი, კაჭარავა ვახტანგი, კვარაცხელია მურმანი, ლომინაძე გივი, ლორთქიფანიძე თემური, მგალობლიშვილი ნუგზარი, მესხია ნაპოლეონი, მარშანია ადა, მჟავია თემური, ნაგარნინა ოლგა, საჯაია ჯემალი, ძარაია რაისა, შამუგია როსტომი, ცატავა რუდიკი, წოწონავა ანზორი, ხეცურიანი შოთა, ხუბუა თამაზი, ჯგუბურია ზურაბი.

აფხაზეთის მთავრობა: ყოლბაია ვახტანგი, ფარფალია მურმანი, ჯაიანი დიმიტრი, ბაკარაძე ქეთევანი, გვაძაბია დავითი, კუჭუხიძე კონსტანტინე, კოპალიანი იგორი, ბასარია ვალერი.

სანთელი

ღულუნი, ვახტანგ ყურაშვილები, არჩილ მშვენიერაძე, რომან გვენცაძე, დავით ზეიკიძე, ავთო მიქაძე, სპარტაკ ხუნწელია გულის ტკივილს გამოვხატავთ ბედკრულ სამშობლოზე „მოთქმით მატირალი“ რაინდის

გენო კალანდიას

გარდაცვალების გამო.

დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ჯამბულ წულაია, თენგიზ კალანდაძე გულისტკივილით იუწყებიან მეგობრისა და კოლეგის, თვალსაჩინო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის

გენო კალანდიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე

შალვა გოგიაშვილი

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ქ. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის X[1] კლასის 1961 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ 72 წლისა ქ. მოსკოვში გარდაიცვალა

ვასილ (ვასიკო) ლევანის ძე ფილიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ნათესავებს.

სტამბოლში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

თურქეთში, სტამბოლში, საქართველოს მოქალაქე, 50 წლამდე მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. „იმედის“ ინფორმაციით მეგობარმა მისი ცხედარი სახლში აღმოაჩინა და სამართალდამცავებს შეატყობინა.

მამაკაცი წარმოშობით კახეთიდან, ყვარლის რაიონიდან იყო. ჯერჯერობით დამატებითი ინფორმაცია არ ვრცელდება.

თაღლითობა მერიის მაღალჩინოსნების სახელით!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე: ბექა ბ. და მერაბ ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბექა ბ. მერაბ ბ-სთან წინასწარი შეთანხმებით, ვითომდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის მაღალი თანამდებობის პირების მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდ მოსთხოვა 10 000 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნულმა პირებმა მოქალაქეს თაღლითურად, წინასწარ გამოართვეს მათ მიერ მოთხოვნილი თანხა 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, რა დროსაც ისინი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

◎ გამოფენა

უცნაურად „აჟღერებული“ სივრცე

თანამედროვე დიზაინერთა შემოქმედებითი ფანტაზიის შედეგად ხილულად ზღვრული სივრცისთვის მეტი მოცულობის მიცემის უაღრესად რთული ამოცანის გადაჭრის მრავალი მაგალითი იხილეს იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლის) მნახველებმა ორიოდე დღის წინათ.

დიდად საგულისხმო გამოფენა სახელწოდებით „სხვაგვარად, ვიდრე ყოველთვის. თანამედროვე დიზაინი და ჩვეულების ძალა“, საქართველო-გერმანიის წლის ფარგლებში უცხოეთიდან ურთიეთრობის (IFA), ასევე გოეთეს ინსტიტუტების საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით მოეწყო.

ქარვასლის ორ დიდ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია გერმანიასა და ევროპის თითქმის ხუთ ათეულ ქვეყანაში მოღვაწე ცალკეულ დიზაინერთა, ასევე მათი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ შექმნილი 148 ნამუშევარი, რომელთა გამოყენება საცხოვრისების ინტერიერებში ჩვეულ ნივთებზე გარკვეულწილად წარმოდგენასაც გვიცვლის და სივრცესაც უცნაურად „აჟღერებს“. ამის მიღწევას ავტორები განხორციელებულ პროექტებში ტრადიციულ შეხედულებათა გავლენისგან გათავისუფლებით, ჩვეული კონსტრუქციების განსხვავებული ფუნქციური და შინაარსობრივი დატვირთვით აღწევენ.

ამ უაღრესად საგულისხმო გამოფენის მნახველებს უდავოდ მიიზიდავს და, ცოტა არ იყოს, შიგადაშიგ გააოცებს კიდეც უცხო რაკურსით წარმოჩენილი ჩვეულებრივი საგნები, ვთქვათ, გასაშლელი საწოლები, კარადები, სკამები, მაგიდები, ყვავილების ქოთნები, ზედა ტანსაცმლის დასაკიდები და საკიდების, ჯაგრისები და სხვ.

აღნიშნულ ეფექტზე მსჯელობისას თავად გამოფენის მომწყობთა, მათ შორის მისი კურატორის **ფოლკერ ალბუსის** თქმით, „ჩვეულ წარმოდგენებზე, ტრადიციულ აზრზე ჩვეულების ძალა ირღვევა, რაც ყოველდღიურ ყოფაში ძირეულ სოციალურ-კულტურულ ცვლილებებს განაპირობებს. ეს ეხება ისეთ გლობალურ მოვლენებს, როგორიცაა ვთქვათ, მიგრაცია, ცვლილებები კვების ჩვეულებებსა და ა. შ.“.

სასიამოვნო ფაქტია, რომ გამოფენის მრავალრიცხოვან სტუმართა შორის მრავლად იყვნენ ინტერიერის ჩვენებური ოსტატები, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან საგანგებოდ ჩამოსული დიზაინერები, საქართველოში გერმანიის საელჩოს თანამშრომლები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

გამოფენა ქარვასლაში 15 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნალარეიშვილის ფოტო

◎ ინტერნეტიდან

„კორინთიანსი“ ჟიზელ ბუნდჰენს ეკურკურება

ლამაზი, მშვენიერი, კოხტაპრუწა და ბარძაყდალოცვილი ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბუნდჰენი სპორტისა და, კერძოდ, ფეხბურთის მოყვარულებმა ყველაზე კარგად 2014 წელს გაიცნეს, როდესაც ეს დიდებული ასული ბრაზილიაში მიმდინარე მუნდიალის ერთ-ერთი სახე და თილისმა იყო.



ჟიზელის მხრიდან ფეხბურთის სიყვარული, ცხადია, მუნდიალით არ ამოწურულა და არც ბურთის გორების მოყვარულებს დავიწყნიათ ეს საოცარი გოგონა. ამ ცოტა ხნის წინათ, ბრაზილიის საფეხბურთო კლუბ „კორინტიანსის“ მესვეურებმა ჟიზელ ბუნდჰენს შესთავაზეს, რომ მათი კლუბის სახე გახდეს და ამაში გვარიან თანხასაც გადაიხდიან.

ჯერ არაა ცნობილი ბრაზილიელი მოდელის პასუხი, მაგრამ, თუკი ბუნდჰენის ქალი ამ წინადადებაზე დათანხმდება, მას მხოლოდ ერთი ვალდებულება ექნება — „კორინტიანსის“ მატჩებზე ხშირად უნდა იაროს და ხანდახან ამ კლუბისთვისაც იპოზიოროს. დაგვეთანხმებით — ამ ამბავში ალბათ მთავარი მაინც პოზიორობაა...

როსტომ რაჭველიშვილი

რისი თქმა შეიძლება სიარულის მიხედვით?

ადამიანის სიარული უნიკალურია და მის შინაგან სამყაროზე ბევრის თქმა შეუძლია, აცხადებენ ბრიტანელი მეცნიერები. ამდენად, თუკი თქვენთვის საინტერესო სუბიექტს დააკვირდებით, იმის გარკვევას შეძლებს, თუ ვინაა თქვენს წინაშე — უწყინარი კრავი თუ პირსისხლიანი მტაცებელი.

მეცნიერებმა შეადგინეს გამოსაცდელი 29 პირის ფსიქოემოციური პორტრეტი და შეაფასეს მათი გულღიობა, კომუნიკაბელობა, თავაზიანობა, ფორიარქის დონე და ა.შ. შემდეგ კი სარბენ ბილიკზე გავლა-გამოვლა სთხოვეს. ამ „გასეირნების“ დროს სხეულის ზედა და ქვედა ნაწილების მოძრაობის შესახებ მონაცემები აღირიცხებოდა, რომელთა კომპიუტერზე 3D ფორმატში ანიმაციური შესწავლის შედეგად მკვლევარებმა დაადგინეს: **აგრესიულ ადამიანებს მოძრაობები გაზვიადებული აქვთ.**

— სიარულის დროს ადამიანი ოდნავ ბრუნავს. მაგალითად, საიმისოდ, რომ სიარული მარცხენა ფეხით დავიწყოთ, ჩვენ ჯერ თეძოების მარცხენა მხარეს „ვრთავთ“, რა დროსაც მარცხენა მხარი უკან იწევს, მარჯვენა კი წინ მიდის. აგრესიული სიარულის დროს ეს მოძრაობები გაცილებით ჰიპერტროფირებულია, — აცხადებენ დამკვირვებლები.

ყოველივე ზემოთქმულიდან მათ ერთობ მოულოდნელი და საგულისხმო დასკვნა გამოიტანეს: მოძრაობის თავისებურებათა გაგებით, გარკვეულ პირობებში შესაძლებელია დანაშაულის თავიდან არიდება.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი 2017 წლის 18 მარტს, შაბათს, 14 საათზე ატარებს რიგგარეშე ყრილობას.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17ა. „მცირე აკადემიის“ შენობა, მესამე სართული.

სტრესების შედეგი

უარყოფითი ემოციები... მუწუკების გაჩენის მიზეზია, აცხადებენ ფრანგი მეცნიერები.

სპეციალისტებმა გაარკვიეს დამოკიდებულება კანის მდგომარეობასა და ემოციურ დაძაბულობას შორის. საქმე ისაა, რომ ნერვული სისტემა ადამიანის მთელი ორგანიზმის, მათ შორის ოფლისა და ცხიმის ჯირკვლების სისტემების მოქმედებას აწესრიგებს. სტრესული ვითარებები ნეირომედიატორებისა და ნეიროპეპტიდების ჭარბ გამოფრქვევას იწვევენ, რომლებიც ორგანიზმის მუშაობას, კერძოდ ჰორმონების გამომუშავებას არეგულირებენ. ჰორმონალური არეულობა კი კანის პათოლოგიურ რეაქციებს — დაწითლებას, ანთებას, ფერიჭამიების გამონაყარს იწვევენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4910; ევრო - 2.6454;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0348;
100 რუბლი - 4.2175; თურქული ლირა - 0.6678;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4610;
1000 სომხური დრამი - 5.1456.

ამინდი 17 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +14
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +15
თბილისი:	ღამე +6,	დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge